# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-კვირა, 12-13 იანვარი. 2019 წ. №7-8 (8673-8674) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


# როცა სტატისტიკა შზარავს!



## 2018 წელს საქართველოში კრიმინალი 58 პროცენტით გაიზარდა

**2018 წლის 11 თვის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებული კრიმინალის რაოდენობა რეკორდული ტემპით - 58%-ით გაიზარდა.**

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკიდან ხდება ცნობილი.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, 2017 წელთან შედარებით, 19.71%-ით არის შემცირებული დანაშაულის გახსნის კოეფიციენტი და ის 34.43%-ს შეადგენს.

საპატრულო პოლიციამ 2018 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევის სულ 53,637 შემთხვევა აღრიცხა.

დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით, პირველ ადგილზე საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი კრიმინალური აქტებია. 2018 წელს ამ კატეგორიის სულ 22,524 ფაქტი აღირიცხა, რაც 2017 წელთან შედარებით 81%-ით მეტია. გახსნის კოეფეიციენტი აქაც შემცირებულია და ის მხოლოდ 24%-ს შეადგენს. წლის განმავლობაში ქურდობის 17,556 შემთხვევა დაფიქსირდა, საიდანაც მხოლოდ 22% გაიხსნა. 2017 წელს გახსნის კოეფიციენტი 44% იყო.

რაც შეეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, 2018 წელს, განზრახ მკვლელობების რაოდენობა 3%-ით გაიზარდა და მან 69 შეადგინა, აქედან პოლიციამ 45 შემთხვევა გახსნა, რაც გახსნის 65%-იან კოეფიციენტს ნიშნავს. 2017 წელს პოლიციამ მკვლელობათა 85% გახსნა.

ოჯახური ძალადობის მუხლით დაწყებული გამოძიებების რაოდენობა 123%-ით არის გაზრდილი და 4,418-ს შეადგენს. გახსნის მაჩვენებელი 62%-ზეა, რაც 2017 წელს 68%-ს შეადგენდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-ნოემბერში 2017 წელთან შედარებით, საქართველოში რეგისტრირებული კიბერდანაშაულის რაოდენობა 151%-ით გაიზარდა. ამ დანაშაულების გახსნის მაჩვენებელი კი სამჯერ შემცირდა და 8.75%-ს შეადგენს.

კრიმინალის სტატისტიკის მიხედვით, წლის 11 თვეში ამ ტიპის დანაშაულის სულ 1051 შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც მხოლოდ 92 საქმე არის გახსნილი. ეს ნიშნავს, რომ ამ ტიპის დანაშაულების 90%-ზე მეტი გასულ წელს გაუხსნელი დარჩა. ამ კატეგორიის დანაშაულების მკვეთრი ზრდა საზოგადოებას საკუთარ კიბერუსაფრთხოებაზე უფრო მეტი ყურადღების გამოჩენისკენ მიანიშნებს.

სამოხელეო დანაშაული, რაც მათ შორის ქრთამის მიცემასაც მოიცავს, 34%-ით არის გაზრდილი, სულ ამ ტიპის დანაშაულის 601 შემთხვევა აღირიცხა. ნარკოდანაშაული კი 13%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, ამ ტიპის სამართალდარღვევის 3,961 ფაქტი გამოვლინდა. გახსნის მაჩვენებელი კი 83%-ზეა, რაც 2017 წელს 91%-ს შეადგენდა.

**2018 წლის კრიმინალის სრულ სტატისტიკას შსს 2019 წლის იანვრის ბოლოს გამოაქვეყნებს.**



# პრეზიდენტის პირველი შეხვედრა ჟურნალისტებთან


②


## დრო და ადამიანები



# მადლიერება ღვთის მიერ ბოძებული უზენაესი გრძნობაა!


③


# არის თუ არა ანაკლიის პორტი „თიბისის“ წინააღმდეგ აგორებული კამპანიის რეალური მიზეზი

**ორი დღეა, ქართული მედია, ბიზნეს და პოლიტიკურ სივრცეში ახალი დისკუსია გუგუნებს: დაიჭერენ თუ არა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლებსა და ტოპმენეჯერებს? გაათეთრეს თუ არა ფული და რატომ? რას უნდა უკავშირდებოდეს ახალი წლების ზეიმებიდან ახლად გამოღვიძებულ ქვეყანაში სწორ ადგილზე ახალი სკანდალის გაღვივება? საერთოდ, რატომ წამოტივტივდა ეს საკითხი? რაღა მაინცდამაინც ახლა — მომხდარიდან 10 წელიწადზე მეტი დროის გასვლის შემდეგ და თან ასეთი უცნაური ფორმით, როცა ჯერ მედია სდებს ბრალს ბიზნესს და შემდეგ პროკურატურა ახმოვანებს იმავე განწყობას?**

**შეკითხვა, ერთი შეხედვით, ბევრია და თანაც მრავალმხრივი. თუმცა, პრობლემაზე ცოტა უფრო ფართო პლანით შეხედვა საკმაოდ იოლად ადასტურებს, რომ, როგორც ხშირად ხდება, ძაღლის თავი კვლავაც სხვაგან არის დამარხული და ატეხილი ალიაქოთი მხოლოდ შირმაა იმ პროცესის მისაჩქმალად, რაც ქვეყანას ბევრად უფრო დიდ და სტრატეგიულ პრობლემას უქადის.**

როგორც საქმეში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილე სახელმწიფო უწყებები — მთავარი პროკურატურა და ეროვნული ბანკი — თავადვე ადასტურებენ, ეს გამოძიება „თიბისი ბანკს“ დიდად ვერაფერს ავნებს: ქვეყნის უმსხვილესი საბანკო ინსტიტუტი ფეხებზე იმაზე მყარად დგას, ვიდრე მასზე მიტანილი იერიშის მასშტაბია — ლონდონის საფონდო ბირჟაზე დალისტული და მის უმკაცრეს რეგულაციებს დაქვემდებარებული, აუდიტორთა დიდი ოთხეულის მიერ ყოველწლიურად აუდირებული საბანკო ინსტიტუტი მისი სოლიდური აქციონერებითა და პოზიციით არცთუ იოლი მოსადრეკია.


იხ. 5 გვ.


## სუნიანი მაფია

# შენ მანქანაში ასხამ- ის ჯიბეში იდებს




⑧



# 100 წლის გაზეთს კვლავ თქვენი დახმარების იმედი აქვს!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).



# პრეზიდენტის პირველი შეხვედრა ჟურნალისტებთან

## არც ერთი პარტიის დამსახურება არ არის ჩემი პრეზიდენტობა!

პრეზიდენტის რეზიდენციაში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ზურაბიშვილს ჰკითხა, რა პოზიცია აქვს მას მმართველ გუნდსა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებთან, რადგან მისი არჩევა მმართველი გუნდის დამსახურებაა.

**„არც ერთი პარტიის დამსახურება არ არის ჩემი პრეზიდენტად არჩევა. მე ქართველმა ხალხმა ამირჩია“,** — უპასუხა ზურაბიშვილმა.

## ჩემს ხელფასს მთლიანად ახალ ფონდში გადავრიცხავ!

რადგანაც ახალ ვითარებაში პრეზიდენტის ფონდი გაუქმებულია, მე გადავწყვიტე, რომ ახალი ფორმები მოვნახო ინიციატივების, ქველმოქმედების, ნოვაციის ხელშესაწყობად;

**— მე გადავწყვიტე, რომ მოვძებნოთ ფორმა და ჩემი ეგიდითა და საზოგადოებრივი პირების დახმარებით, კერძო საწყისზე შეიქმნას ფონდი, სადაც, პირველ რიგში, მე იმედი მაქვს, რომ სხვებიც მომყვებიან, გადავრიცხავ ჩემს ხელფასს, რამეთუ მე ვღებულობ უკვე საფრანგეთის პენსიას, რაც მეყოფა სრულებით. ასე რომ, შემიძლია ჩემი პრეზიდენტის სარგო მოვახმარო იმ საქმეებს, რასაც გადავწყვეტთ ერთად, რომ არის მნიშვნელოვანი...**

## კანონი ისე უნდა მივიღოთ, რომ სიტყვის თავისუფლება არ შეიზღუდოს!

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი ცილისწამების წინააღმდეგ კანონის მიღებასთან დაკავშირებით მუშაობის დაწყებას გეგმავს.

**— პრეზიდენტს არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ეს არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტს არ აქვს უფლება, ჰქონდეს მოსაზრება, მორალური ინიციატივა, რომელიმე თემა წამოსწიოს და მიმართოს მთავრობას, კანონმდებლებს საზოგადოებას.**

**ეს არის თემა, რომელიც აწუხებს საზოგადოებას, საჭირო არის ამის დაწყნარება, მე მესმის რომ ამავე დროს დაცული უნდა იყოს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ არსებობს ქვეყნები, რომლებმაც ეს გადაწყვიტეს, ბოლო ამის მაგალითი იყო საფრანგეთი, რომელმაც მიიღო ასეთი კანონი ცილისწამების წინააღმდეგ, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომაც დაამტკიცა, რომ ეს არ მოდიოდა წინააღმდეგობაში არც სიტყვის თავისუფლებასთან — ამაზე უნდა ვიმუშაოთ. პრეზიდენტის ადმინისტრაცია მზად არის, რომ საზოგადოებასთან არასამთავრობოებთან ამ თემაზე ჰქონდეს დისკუსია და ეს გამოვიყენოთ შემდეგ, როცა საკანონმდებლო ორგანოსთან იქნება განხილვა,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

## შერიგება, მიტევება მე სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი!

ჩემი შესაფასებელი არ არის ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობს მმართველი გუნდის შიგნით. როგორ განვითარდება ეს პროცესები, ჩემი გადასაწყვეტი არ არის...

**„მე თუ მეკითხებით ჩემს პირად გრძნობებს გუნდის რომელიმე წევრის მიმართ, ეს არ არის ის ადგილი, სადაც მე ჩემი პირადი ურთიერთობები უნდა გაგიზიაროთ რომელიმე წევრის მიმართ და სხვათა შორის, კარგი ურთიერთობები მაქვს ყველა მონაწილესთან, ვინც ჩაბმულია ამ პროცესებში. ერთადერთი იმას ვიტყოდი, რომ მოვედი როგორც საქართველოს პრეზიდენტი და დავიწყე საქმიანობა ამ ფუნქციაში იმ იმედით, რომ მე ვიქნებოდი ერთგვარი შერიგების პრეზიდენტი. იმედი მაქვს, რომ ის შერიგება, რომელიც სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი, ასევე გავრცელდება მმართველ გუნდზე. ეს დღევანდელი პოლიტიკური დისკუსიები თუ დებატები ამ პროცესების ირგვლივ, არ გადაიქცევა რამე უფრო ღრმა დაპირისპირებად. იმაში კიდევ უფრო დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქვეყანას მეტი დაწყნარება, მეტი კონსენსუსი სჭირდება მთავარ საკითხებზე და ჩემი აზრით, სწორედ სასამართლო, მისი დამოუკიდებლობა და მის მიმართ ნდობა ერთ-ერთი საკითხია, რომლის ირგვლივ ყველა გაერთიანებული უნდა იყოს“,** — განაცხადა ზურაბიშვილმა.

## თუ კონსტიტუციაში ხარვეზია, მე მხოლოდ მორჩილი ვიქნები იმისა, რაც გადაწყდება...

პრეზიდენტი ამბობს, რომ თუ ქვეყნის მთავარ დოკუმენტში ხარვეზებია, ეს მისი გამოსასწორებელი და სათქმელი არ არის.

— არ ვიცი, იქნება თუ არა საუკეთესო მექანიზმი (რომ პრეზიდენტს დაუბრუნდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატების წარდგენის უფლება), ეს იქნება დიდი პასუხისმგებლობა და არ ვიცი, რა უნდა ვისურვო, თუ ასე დგას საკითხი.

**ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ დღეს, პრეზიდენტი ვერ იტყვის, რომ კონსტიტუციაში არსებობს რამე ხარვეზი, რომელიც გამოსასწორებელია. ეს არ არის ჩემი სათქმელი. თუ კონსტიტუციაში არის რამე ხარვეზი, ეს არის იმ ადამიანების გადასაწყვეტი, რომელიც მსჯელობენ ამაზე. ანუ კანონმდებელმა უნდა იმსჯელოს და თუ რამე მიიჩნია ხარვეზად, მან ან საზოგადოებამ, რომელთან ერთადაც მსჯელობს კანონმდებელი, იმათი გადასაწყვეტია და მე მხოლოდ მორჩილი ვიქნები იმისა, რაც ამ თვალსაზრისით გადაწყდება...**

## „თუ ჩვენი ეკლესია ფრთხილობს, მე არ შემიძლია ამაზე პასუხისმგებლობის აღება“ – რატომ არ მიულოცა ზურაბიშვილმა უკრაინას ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭება

**რას ფიქრობს პრეზიდენტი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭებაზე და რატომ არ მიულოცა ქვეყნის პირველმა პირმა უკრაინის მოსახლეობას? — შესაბამისი კითხვით სალომე ზურაბიშვილს ჟურნალისტებმა მიმართეს.**

საქართველოს პრეზიდენტმა საკითხზე პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა. მისი თქმით, საკითხი მასზე უკეთ საქართველოს საპატრიარქომ იცის.

**„უკრაინის ავტოკეფალიის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი და სენსიტიური თემაა. ძალიან კარგად გვახსოვს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ავტოკეფალიის აღდგენას 1917 წელს. ეს იყო ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სიძლიერის საწინდარი, ასეთი გამოცდილება უკრაინას არა აქვს. ძალიან მარტივი იქნებოდა ჩემთვის უკრაინელებისთვის მილოცვა, რომ არ ვიყო პრეზიდენტი. საქართველოს საპატრიარქომ ჩემზე უკეთ იცის ეს საკითხი. თუ ჩვენი ეკლესია ფრთხილობს და თავს იკავებს მილოცვისგან, რაღაც შედეგების გამო, რომელიც ყველას გვესმის, რას ეხება, მე არ შემიძლია ამაზე პასუხისმგებლობის აღება“,** — ამბობს ზურაბიშვილი.

* * *

ერთ-ერთ მთავარ კითხვაზე, პრეზიდენტი, როგორც მთავარსარდალი და ქვეყნის თავდაცვის სფეროში დიპლომატიური დიალოგების წარმმართველი, დაელაპარაკება თუ არა საქართველოს ოკუპანტ მტერს რუსეთს, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა ერთმნიშვნელოვნად უპასუხა:

**— ჯერჯერობით რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის არავითარი ნიშან-წყალი არ სჩანს. უნდა გითხრათ, რომ ამ საკითხს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების გარეშე ვერ გადავწყვეტთ... ვნახოთ, რა იქნება ხვალ. მე ყოველმხრივ ვეცდები, რომ საქართველოში ნანატრი მშვიდობა სუფევდეს...**

მოამზადა
**სპარტაკ ქოზულიამ**

## სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტს ცესკოს წევრობის კანდიდატები წარუდგინა

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტს განსახილველად ცესკოს წევრობის კანდიდატები წარუდგინა.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის წევრობის ვაკანტურ თანამდებობებზე, ღია კონკურსის წესით, ნათია იოსელიანი და გიორგი შარაბიძე შეირჩნენ.

ალსანიშნავია, რომ გიორგი შარაბიძე ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას 2013 წლიდან იკავებდა. ნათია იოსელიანი კი საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრში მუშაობს.

## „კომკავშირული გადმონაშთია“



ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის განცხადებას, რომ ეკა ბესელიასთან ერთდ გუნდში ვერ დარჩება, ისნის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „კომკავშირულ გადმონაშთს“ უწოდებს.

**„მათი პრობლემაა, რამდენად მისაღები იქნება „ქართული ოცნებისთვის“ დეპუტატებთან განშორება. ეს საკითხი არ ეხება მარტო ეკა ბესელიას, ბევრი დეპუტატი დგას ამ აზრზე მოსამართლეობის კანდიდატების სიასთან დაკავშირებით. ასეთი საუბარი, როგორიც ვოლსკის სჩვევია კოლეგებზე, კომკავშირული გადმონაშთია. პარტია, რომ გააკიცხავდა ვინმეს, შემდეგ ერთიანად კიცხავდნენ ყველა ქვემდებარე რგოლები. ვოლსკისგან ასეთი განცხადებები გასაკვირი არ არის“,** — ამბობს დავით ჭიჭინაძე.

## ბესელიას კაბინეტი დააცლევინეს

**„ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება დღითი დღე მწვავდება. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი ეკა ბესელიას ღიად დაუპირისპირდა, დეპუტატს კუთვნილი კაბინეტი დააცლევინეს.**



მას განცხადებების გაკეთება, თანამდებობის არმქონე დეპუტატებისთვის განკუთვნილ ფლიგელში მოუწევს. ბესელია საქართველოში არ იმყოფება და ის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ორშაბათს ხმაურიანი განცხადებების გაკეთებას აპირებს.

# მადლიერება ღვთის მიერ ბოძებული უზენაესი გრძნობაა!

ბატონი ზურაბ ლომიძე უნიკალური მოვლენაა უახლოესი წარსულის ქართული კულტურის ისტორიაში.

უაღრესად წარმატებული პარტიული, კომკავშირული, სახელმწიფო მოღვაწე ყველასთვის მოულოდნელად დაინიშნა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორად. და ეს მოხდა მაესტრო ჯანსულ კახიძისა და მისი თანამოაზრეების განსაკუთრებით დაჟინებული მოთხოვნით, რომლითაც მათ მიმართეს რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელს ედუარდ შევარდნაძეს. იმ დროისთვისაც კი ასეთი „მოთხოვნა“ მართლა უნიკალური იყო და... ზურაბი „ლომების ხახაში“ ჩააგდეს.

მანამდე ლომიძე, ცნობილი წყალბურთელი, კომკავშირის ცეკას სასკოლო განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მერე გახლდათ „პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის“ დირექტორი (და მის სახელთან არის დაკავშირებული ბავშვთა ლეგენდარული ანსამბლის „მზიურის“ არაერთი წარმატება), განათლების მინისტრის პირველი მოადგილე...

იმ (და ახლანდელიც) თაობის თეატრალები მადლიერების გრძნობით იგონებენ ზურაბის საქმიანობას. ჰოდა, სულით რაინდი კაცი შეუძლებელია, არ გამოხმაურებოდა ოპერისა და ბალეტის თეატრის მისამართით აგორებულ ბოლოდროინდელ, არცთუ სასიამოვნო მოვლენებს, რომლებიც ხინჯად დარჩა საპრეზიდენტო არჩევნებს, დაკავშირდა და, ნებსით თუ უნებლიეთ, მეტისმეტად გაზვიადდა და, რა თქმა უნდა, ხელოვნურად „დარტყმის ობიექტად“ გადაიქცა ქალბატონი ნინო ანანიაშვილის პიროვნება.

არაერთგზის მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: გასული საუკუნის 80-იანი წლები ქართული ისტორიის საამაყო ფურცლებთან ერთად ინახავს სამარცხვინოსაც. ერთ-ერთი ასეთი ლაქაა ის აღვირახსნილი და გამაოგნებელი ლანძღვა-გინება, რომელიც განსაზღვრული იყო პოლიტიკური ნიშნით, ურაპატრიოტული ემოციებით, მიმართული ქვეყნის გარეთ თუ შიგ მოღვაწე ზოგიერთი დიდი ქართველი ხელოვანის წინააღმდეგ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჭკუა ბოლომდე ვერ ვისწავლეთ. დღესაც ისე „გადავუვლით“ და „ჩავქოლავთ“ ამა თუ იმ გამორჩეულ, ელვარე ნიჭის მქონე, საქვეყნოდ პოპულარულ, პრაქტიკულად ქართული კულტურის სახედ მსოფლიოში აღიარებულ თანამემამულეს, რომ... მიზეზი — ისევ და ისევ გარკვეული ჯგუფებისთვის მიუღებელი მათი ან, მათი ახლობელი თუ ოჯახის წევრთა პოლიტიკური შეფერილობის პოზიცია, ქმედება, გამონათქვამი...

გუშინდელი საამაყო, ხელისგულზე სატარებელი კერპების კვარცხლბეკიდან უტიფრად „ჩამოგდების“ ეს სამარცხვინო პროცესი არა მარტო ამაზრზენია, არამედ მეტისმეტად ცუდი მაგალითია მომავალი თაობებისთვის, ისევე, როგორც მსოფლიოს თვალში „გასაოცარი დემოკრატიის“ მშენებარე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრცისთვის.

ვიცი, „ვიღაც-ვიღაცების“ რისხვას ვერ გადავურჩები, მაგრამ სათქმელია: რობიკო სტურუას, ნანი ბრეგვაძეს, თემურ ჩხეიძეს, ლიანა ისაკაძეს, ელისო ვირსალაძეს, პაატა ბურჭულაძეს, ირმა ნიორაძეს, ანიტა რაჭველიშვილს, ხატია ბუნიათიშვილს, ბუბა კიკაბიძეს, ეთერ გლურჯიძეს, თამარ გვერდწითელს, ძმებ მელაძეებს, სოსო პავლიაშვილს და კიდევ არაერთ საამაყო ტალანტს თავიანთი ნიჭით და მთელი ცხოვრებით მოპოვებული აქვთ უფლება, სადაც უნდათ იქ დადგან სპექტაკლი, დაუკრან ნებისმიერი ავტორის შედევრი, იმღერონ, რა სიმღერაც უნდათ, იცეკვონ ნებისმიერ სცენაზე, ჰქონდეთ ნებისმიერი პოლიტიკური შეფერილობის პირადი პოზიცია და სიმპათია და... დარჩნენ გულმხურვალე ქართველებად!!!

და მიიღონ მათ ჩემი გულწრფელი მადლიერება, უსაზღვრო პატივისცემა, დაუფარავი აღტაცება, მოწიწება, ტაში და ოვაცია მაშინაც კი, როცა მათი (ან მათი ბედოვლათი მეუღლეების, ანგარიშარგამწევი შვილების, ცოტა გონებაშეზღუდული სიდედრ-სიმამრების თუ მოავანტიურისტო ახლობლების და მედროვე მეგობრების...) პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი პოზიცია არამცთუ არ ემთხვევა, არამედ პრინციპულადაც კი ეწინააღმდეგება ჩემს პირადს...



ამ მოსაზრებებით, ამ რწმენით ვაქვეყნებ ჩემი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრის, სახელმწიფო აზროვნებით გამორჩეული, ქართული კულტურის წინაშე ვალმოხდილი მოღვაწის და რაინდი კაცის ზურაბ ლომიძის ამ გულწრფელ წერილს და მადლობას მოვახსენებ მას ამ ნაბიჯისთვის.

მადლიერება ღვთის მიერ ბოძებული უზენაესი გრძნობაა!

**ნუგზარ ფოფხაძე**



ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ ქართული თეატრისათვის, ისევე როგორც მთლიანად ქართული კულტურისათვის, გასული საუკუნის 90-იანი წლები ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მოსაგონარია. იყო სიცივე, უშუქობა, ხშირად უხელფასობაც, მაგრამ ვისაც როგორც შეეძლო, ისე გაჰქონდა თავი.

ეს წლები განსაკუთრებით მძიმე იყო თბილისის საოპერო თეატრისათვის, რადგან იგი წარმოადგენს ოპერის, ბალეტის, სიმფონიური ორკესტრის და გუნდის ერთგვარ სინთეზს და ყოველი მათგანი ცალ-ცალკე მუდამ თავისებურ ყურადღებას ითხოვდა. მართალია, იყო ცალკეული კონფლიქტებიც, მაგრამ მან ღირსეულად გაართვა თავი დროის მაშინდელ გამოწვევებს.

მე მერგო პატივი, ვყოფილიყავი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის (მაშინ მას ასე ეწოდებოდა) გენერალური დირექტორი იმ დროს, როცა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო დიდი მაესტრო ჯანსულ კახიძე, ხოლო საბალეტო დასს თავკაცობდა შესანიშნავი ბალეტმაისტერი გიორგი ალექსიძე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იმ ძალზე გაჭირვებულ დროს თეატრის მთელმა დასმა თავის მაყურებელს უჩვენა ერთიანობის, თეატრისადმი უსაზღვრო სიყვარულის, პროფესიონალიზმისა და ერთგულების არაერთი შესანიშნავი მაგალითი, ჩვენ მაინც ვერ გავივლიდით იმ წლებს ღირსეულად, რომ არა ჩვენი საზღვარგარეთ მოღვაწე მომღერლები და მოცეკვავეები, რომლებსაც ჩემი ყოველი თხოვნა გულთან ახლოს მიჰქონდათ და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მონაწილეობდნენ თეატრის პრემიერებსა თუ რიგით სპექტაკლებში და ამით უმსუბუქებდნენ მძიმე ყოფას როგორც თეატრს, ისე თბილისელ მაყურებლებს.

უდიდესი მადლიერებით მინდა გავიხსენო ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, პაატა ბურჭულაძე, ბადრი მაისურაძე, იანო ალიბეგაშვილი, ნუგზარ გამგებელი, ლადო ათანელი, ეთერ ჭყონია, ირმა ნიორაძე, ნიკა ცისკარიძე, იგორ ზელენსკი, ელენე გლურჯიძე, შესანიშნავი თეატრალური მხატვარი მურაზ მურვანიძე და სხვები.



მაგრამ დღეს მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყო მსოფლიო ბალეტის ფერია ნინო ანანიაშვილი, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ამჟამად მორალურად ყველაზე მეტად უჭირს. მისი ყოველი ჩამოსვლა მუდამ დიდი ზეიმი იყო ბალეტის მოყვარულთათვის. მახსოვს გრძელი რიგები საბილეთო სალაროსთან, ხოლო უშუალოდ სპექტაკლების დღეებში, თეატრის გარე პერიმეტრზე წესრიგის შესანარჩუნებლად არაერთხელ მომიწია მაშინ ჯერ კიდევ მილიციის ქვედანაყოფის მოწვევა. ნინოს თხოვნით, ძალიან მძიმე 1991 წელს დავდგით ლევენსკიოლდის ბალეტი „სილფიდა“, რომლის სადადგმო ხარჯებში შედიოდა მის მიერ მოსკოვში მოძიებული თანხებიც. „სილფიდა“ მისი ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლი იყო და მასში იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ცეკვავდა თავის პარტნიორებთან ერთად, და როგორც წესი, ისინი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჩამოჰყავდა და ეს არ იყო ერთეული შემთხვევა. ასევე იყო 1996 წლის ზაფხულში, როცა მან სრულიად უსასყიდლოდ ჩამოიტანა სპექტაკლი „სიზმრები იაპონიაზე“, მასში ბალეტის მსახიობთა გარდა მონაწილეობდა მოსკოვის დიდი თეატრის 10 დრამერი, რომლებმაც ჩვენი თეატრის ორკესტრთან ერთად გამართეს ორი სპექტაკლი და ამით მართლაც დიდი სიხარული მიანიჭეს თბილისელებს.

სწორედ ნინოს „აგიტაციის“ შემდეგ, 1996 წელს ქალაქ ბალტიმორში შევიძინეთ სპეციალური საბალეტო იატაკი, რომლის მსგავსი დღესაც კი მსოფლიოს უამრავ საბალეტო დასს არ გააჩნია. მისი წყალობით წლების მანძილზე მოცეკვავეებს ავაცილეთ ტრავმის მიღების უამრავი შემთხვევა და მიეცათ შანსი, სრულად წარმოეჩინათ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი. მაგონდება არაერთი შემთხვევა, როცა იგი თავის თბილისელ კოლეგებს შეძლებისდაგვარად საჩუქრად უგზავნიდა დიდი თეატრის სახელოსნოებში შეკერილ საბალეტო პუანტებს, რომლის დეფიციტს მაშინ ხშირად განვიცდიდით. ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს მის შემოქმედებით ბიოგრაფიას, იცის, რომ ნინო ანანიაშვილი ძალზე პატივში ჰყავდათ ამერიკის შეერთებულ შტატებში და განსაკუთრებით იაპონიაში. გარდა იმისა, რომ იგი იყო ამ ქვეყნების წამყვანი დასების უცვლელი სოლისტი, თითქმის ყოველწლიურად იქ სხვადასხვა სპექტაკლებით დაჰყავდა რუსეთის ცნობილი საბალეტო კოლექტივები. 2002 წელს მან შემომთავაზა იაპონიაში საგასტროლოდ რუსული კოლექტივის ნაცვლად ჩვენი თეატრის საბალეტო დასის წაყვანა. ამ გამოსვლებმა იმდენად წარმატებით ჩაიარა, რომ იმავე წელს შედგა მათი გასტროლები ინგლისში. მას შემდეგ მარტო იაპონიასა და აშშ-ში ქართული დასის კიდევ 9 გასტროლი შედგა.

დაბოლოს, არ შემიძლია, არ გავიხსენო, თუ როგორ განიცდიდა ქართული შენაერთების წარუმატებლობას აფხაზეთში. ხშირად რეკავდა თბილისში და მათ შორის ჩემთანაც, აინტერესებდა იქ მიმდინარე პროცესები. 1993 წლის ოქტომბერში ნინო იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც მოსკოვში, საქართველოს საელჩოში შეიტანა 40,000 აშშ დოლარი ჭუბერის გზას შემდგარი აფხაზეთიდან გამოყრილი ლტოლვილების დასახმარებლად და რამდენადაც მახსოვს, ასეთი, მართლაც რომ პატრიოტული ნაბიჯი იმ დროს ბევრს არ გადაუდგია.

ნინო ანანიაშვილი, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ფენომენია ქართულ კულტურაში და, თუ გნებავთ, საერთოდ ქართულ სინამდვილეში. მადლიერება ღვთის მიერ ბოძებული უზენაესი გრძნობაა... ეს ჩემი სიტყვები არ არის, მაგრამ იგი, ვფიქრობ, ყველას და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

**ზურაბ ლომიძე,**

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გენერალური დირექტორი 1986-2004 წლებში.**



# საქართველოში ე.წ. ღორის გრიპზე სულაც არა გვაქვს მძიმე სურათი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, ევროპის რეგიონული ოფისის წარმომადგენელი გიორგი კუჭუხიძე საქართველოში ე.წ ღორის გრიპის გავრცელებას ეხმაურება და სოციალურ ქსელ facebook-ში სტატუსს აქვეყნებს:

**„ამ საყოველთაო ისტერიაში ერთ-ორ სიტყვას მეც გეტყვით: გავიგეთ, რომ გრიპი სერიოზული დაავადებაა, მაგრამ მთავარი კითხვა, რაც ისმის, არის, რატომ გვაქვს საქართველოში ასეთი „მძიმე“ სურათი განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან? სულაც არ გვაქვს მძიმე სურათი! სამწუხაროდ, სიკვდილიანობა გრიპს ყოველთვის თან ახლავს. ძირითადად კვდებიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ სხვა ქრონიკული დაავადებები, ან არ იცავენ წესებს: არ რჩებიან სახლში მოსვენებულ მდგომარეობაში, არ იღებენ დიდი რაოდენობით სითხეს და გართულების შემთხვევაში ძალიან გვიან მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებას. ცოდნის და განათლების პრობლემა ჩვენი ძირითადი თავის ტკივილია. ვერ ან არ ვიმახსოვრებთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს გრიპის შესახებ:**

**1. გრიპი ძალიან ბევრ სეზონურ ვირუსს შორის ყველაზე საშიში ვირუსია და ყოველ წელს გვხვდება.**

**2. გრიპის შემთხვევები იმატებს სიცივეში, შემოდგომა-ზამთრის სეზონზე.** ანუ მითია, რომ იძახიან: „ერთი კარგმა ყინვებმა ვერ მოარტყა, ვირუსები რომ გაწყვიტოს“.

**3. გრიპი გვხვდება სხვა დროსაც, უბრალოდ ერთეული შემთხვევები.** სწორედ გვიან გაზაფხულზე და ზაფხულში აღმოჩენილი გრიპის ვირუსები, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სპეციალური დაწესებულებები აღმოაჩენენ ხოლმე, იძლევა საშუალებას, რომ გაკეთდეს სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზი გვიან შემოდგომაზე და ზამთარში რომელი გრიპის ვირუსი იქნება სავარაუდოდ გავრცელებული და ამის მიხედვით ხდება გრიპის ვაქცინის შექმნა, რომელიც, როგორც წესი, შეიცავს გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში 3 ან 4 ყველაზე ხშირად აღმოჩენილი გრიპის ვირუსის შტამებს.

**4. გრიპის ვაქცინას ამზადებენ არააქტიური ვირუსისგან, შესაბამისად აცრით გრიპი თეორიულადაც ვერ დაგემართებათ,** ესეც ყველაზე გავრცელებული მეორე მითი: გრიპის აცრით შეიძლება დამემართოს გრიპი. აცრის გაკეთება შესაძლებელი ხდება ოქტომბრიდან და ეს გახლავთ ვაქცინაციისთვის იდეალური პერიოდი, გრიპის სეზონი დაწყებული არ არის და თქვენ იმუნურ სისტემას სათანადოდ ამზადებთ (აცრიდან 2 კვირაა საჭირო, რომ თქვენი იმუნური სისტემა მოემზადოს, ამ პერიოდში შეიძლება გრიპი ვინმესგან გადმოგედოთ და დაგემართოთ, ვაქცინისგან დამოუკიდებლად).

**5.ყველამ უნდა გაიკეთოს თუ არა გრიპის აცრა? უნდა აიცრას ყველა ის ადამიანი, ვისაც ქრონიკული დაავადება აქვს, ასევე ბავშვები და მოხუცები.** ეს ყველაფერი იმისთვის რომ ეს ხალხი დაცული იყოს და სეზონის განმავლობაში ნაკლებად გვამცნონ ტელევიზიით გრიპით გარდაცვალების შესახებ დრამატული ინფორმაცია. ჯანმრთელებმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, მე მაგალითად ყოველ წელს ვიცრები, არ მინდა ჩემი ორგანიზმისთვის სერიოზული გამოცდის მოწყობა. თუმცა ზოგადად, თუ დაცული იქნება ის მინიმალური წესები რაზეც ზევით ვისაუბრეთ, როგორც წესი, ჯანმრთელი ორგანიზმი გრიპის ვირუსს ერევა. მაგრამ თუ არ აიცრებით და გრიპი შეგხვდებათ, მზად უნდა იყოთ რომ 40 გრადუსამდე სიცხით, ძალიან სუსტ მდგომარეობაში იქნებით რამდენიმე დღე, შედეგად იქმნება დისკომფორტი ორგანიზმისთვის და დიდი ალბათობა იმისა, რომ ნერვული ფონის გათვალისწინებით ბევრ სისულელეს იფიქრებთ და არ გამორიცხოთ, რომ გააკეთებთ კიდეც (მაგალითად წყალბადის ზეჟანგი დაგესიზმრებათ).




## „ტამიფლუ“ ყველა მოქალაქეზე უფასოდ გაიცემა

**ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით ანტივირუსული პრეპარატი „ტამიფლუ“ მოქალაქეებზე უფასოდ გაიცემა, მიუხედავად იმისა შედის თუ არა პაციენტი რომელიმე რისკ ჯგუფში. „მივიღეთ გადაწყვეტილება, საქართველოს ყველა მოქლაქეზე ანტივირუსული პრეპარატი გაიცეს სახელმწიფო სუფსიდირებით, ანუ მოქალაქეებზე გაიცეს უფასოდ, ხვალ დავიწყებთ ამის განხორციელებას“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.**

## აფთიაქებში „ტამიფლუს“ ფასმა დაიკლო

**ანტივირუსულ პრეპარატ „ტამიფლუზე“ ფარმაცევტულმა კომპანიებმა ფასების კლება დაიწყეს. როგორც „ნიუპოსტს“ „პსპ“-ს სააფთიაქო ქსელში განუცხადეს, დღეის მონაცემებით აღნიშნულ ქსელში „ტამიფლუს“ ღირებულება 10 კაფსულაზე 68 ლარს შეადგენს.**

**აღსანიშნავია, რომ ფარმაცევტულ კომპანიებს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მოუწოდა აღნიშნული პრეპარატის ღირებულებისთვის გადაეხედათ და შესაძლებლობის ფარგლებში ფასი დაეკლოთ. არსებული ინფორმაციით, ფასმა სხვა სააფთიაქო კომპანიებშიც დაიკლო.**

## სკოლებში სადეზინფექციო სამუშაოები მიმდინარეობს

**საჯარო სკოლების ნაწილმა გრიპის ვირუსთან დაკავშირებით სადეზინფექციო სამუშაოები დაიწყო.**

**64-ე საჯარო სკოლის დირექტორის თამარ მამსიკაშვილის განცხადებით, სადეზინფექციო ხსნარებით ყოველდღიურად სველი წესით მუშავდება როგორც ოთახები და დერეფნები, ასევე სასკოლო ინვენტარი.**

**„გრიპის ვირუსის პრევენციის მიზნით გაიცა რეკომენდაციები სამინისტროს მხრიდან, რომელსაც ვახორციელებთ. ეს არის დამატებით სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება სკოლებში, რომელიც ერთხელ უკვე ჩავატარეთ. დაგეგმილი გვაქვს სასწავლო პროცესის დაწყებამდეც. სადეზინფექციო ხსნარებით ყოველდღიურად სველი წესით მუშავდება, როგორც ოთახები და დერეფნები, ასევე სასკოლო ინვენტარი. ეს სწავლის დაწყების შემდეგაც გაგრძელდება“, — განაცხადა თამარ მამსიკაშვილმა.**

# ჯანდაცვის სამინისტრო გრიპის ვირუსს მოუმზადებელი შეხვდა

## ექსპერტები კონკრეტულ ფაქტებს ასახელებენ

**გრიპი, გაციება, სურდო, A(H1N1) — ზამთრის ვირუსი არავის უკვირს და ყველამ იცის, რომ ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი ქვეყანა არ არის. ევროპის ბევრ ქალაქში დღეს გრიპი ფართოდაა გავრცელებული და ასეა ყოველწლიურად. მეტიც, ხშირად იგი ეპიდემიის სახესაც ღებულობს და მათ შორის ღორის გრიპიც აქტუალურია. თუმცა საქართველო ამ მიმართულებაშიც აღმოჩნდა გამონაკლისი — სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ადგილობრივი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გრიპის ვირუსს მოუმზადებელი შეხვდა.**

აღნიშნულს დარგის სპეციალისტებიც ადასტურებენ, „კომერსანტი“ ესაუბრა ჯანდაცვის ექპერტებს, რომელთა იდენტიფიკაციას გასაგები მიზეზების გამო არ ვახდენთ. მათი თქმით, დღევანდელმა მდგომარეობამ საბოლოოდ და ნათლად გამოავლინა ჯანდაცვის სამინისტროსა და მთლიანი სისტემის არაპროფესიონალიზმი.

**„უკვე ყველა ხვდება იმას, რომ ჯანდაცვის სამინისტრო აბსოლუტურად მოუმზადებელი ხვდება გრიპის მორიგ აფეთქებას. არადა, სტატისტიკურად 3-4 წელიწადში ერთხელ გრიპის მასობრივი აფეთქება ხდება და ზუსტად წელს უწევდა ეს პერიოდი. ეს მთელმა მსოფლიომ იცის და ქვეყნები წინასწარ პრევენციულ ღონისძიებებს ატარებენ, ჩვენთან კი მსგავსი არაფერი მომხდარა. პირველ რიგში, ჯანდაცვის სამინისტროს უნდა გამოეცა ბიულეტენი, სადაც მითითებულია ვინ, როგორ იქცევა ეპიდემიის დროს. სამინისტროს კი თავის ვებ-გვერდზე 2009 წლის, ანუ 10 წლის წინანდელი სახელმძღვანელორეკომედაცია აქვს გამოქვეყნებული, რაც დღევანდელ რეალობას აღარ შეესაბამება. ბრიტანულ მედიცინას, ამერიკული ჯანდაცვის გაერთიანებებს უკვე სხვა სახელმძღვანელოები აქვთ შემუშავებული ეპიდემიის საბრძოლველად. აი, აქედანაც კი ჩანს, როგორია სახელმწიფოს დამოკიდებულება დღეს არსებული სიტუაციისადმი“,** — აღნიშნავს ექსპერტი.

დარგის სპეციალისტების შეფასებით, ჯანდაცვის სამინისტროსა და მთლიანი სისტემის არაპროფესიონალიზმი გამოიხატა შემდეგში:

- **ჯანდაცვის სამინისტროს არ დაუანონსებია, რომ გრიპი მოსალოდნელი იყო მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოდან. აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებისთვის სექტემბრის თვეში უნდა ეცნობებინა;**
- **სამინისტროს დაანონსების პარალელურად უნდა გაეცა რეკომედაცია ვაქცინაციაზე (აცრა სასურველია სექტემბეროქტომბრის თვეში გაკეთდეს);**
- **ვაქცინაცია უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, საქართველოშიც ამ ხარჯებს სახელმწიფო უნდა ფარავდეს;**
- **ღორის გრიპი - ის ასევე მოსალოდენლი იყო როგორც წინა წლებში. შესაბამისად ჯანდაცვის სამინისტროს თავის დროზე მასზეც უნდა გაემახვილებინა ყურადღება და ეწარმოებინა შესაბამისი კამპანია;**
- **„ტამიფლუ“ ღორის გრიპის ეფექტური სამკურნალო საშუალებაა. დღეს ქვეყანაში მედიკამენტის საკმარისი რაოდენობა არ გვაქვს, მეტიც დეფიციტშია. მნიშვნელოვანია, რომ მისი მიწოდება ბევრად გამარტივებული იყოს. თავის დროზე მედიკამენტის შესაბამისი რაოდენობით უნდა მომარაგებულიყვნენ სააფთიაქო ქსელები და ფასიც გონივრული დაედგინათ. ასეთ შემთხვევაში დღევანდელი პანიკა არ იქნებოდა;**
- **სტაციონარები — სულ ცოტა ხნის წინათ გადავიდნენ 24-საათიან სამუშაო რეჟიმზე, რაც დაგვიანებულია. ეს პროცესი დეკემბერში უკვე დაწყებული უნდა ყოფილიყო.**

დარგის სპეციალისტების შეფასებით ზუსტად ეს ფაქტორები უნდა გაეთვალისწინებინა ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრს თავის დროზე, რათა დღევანდელი მდგომაროება ბევრად ადვილი და მარტივი გადასატანი ყოფილიყო.

„კომერსანტის“ კითხვაზე, თუ რატომ დგება საზოგადოება ყოველწლიურად ერთიდაიგივე პრობლემის წინაშე და რატომ არ იღებს ჯადანცვის სამინისტრო შესაბამის ზომებს — ექსპერტების შეფასებები ასეთია:

**— „ეს ყველაფერი ერთგვარი ტრადიცია გახდა უკვე. ჯანდაცვის სამინისტრომაც მშვენივრად იცის, რა და როდის უნდა გააკეთოს, მაგრამ მისთვის პრიორიტეტი სხვა რამაა. ზოგადად სისტემაშია პრობლემა — ჩვენ ვავითარებთ ავადობის მედიცინას და არა ჯანმრთელობის მედიცინას. ეს გულისხმობს იმას, რომ პირველ რიგში, უნდა ვიზრუნოთ პრევენციასა და პროფილაქტიკაზე ყველა მიმართულებით. ასეთ ვითარებაში გამოვა, რომ ვზრუნავთ საზოგადოების ჯანმრთელობაზე. თორემ მერე შესაძლოა, გვიანიც აღმოჩნდეს და გვაქვს ამის ნათელი მაგალითებიც“.**

**— „უკვე ათეული წელია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არასწორი მიმართულებით იხარჯება თანხები. ბევრი გვესმის პირველადი ჯანდაცვის განვითარებისა და მისი დაფინანსების შესახებ და ამ დროს არაფერი კეთდება. საზოგადოებრივ ჯანდაცვაში სწორედ ის სეგმენტი შედის, რასაც ოჯახის ექიმი, ვაქცინაცია, იმუნიზაცია ჰქვია და ყველა ქვეყანაში ეს არის უფასო. უფრო სწორად სახელმწიფო აფინანსებს“.**

**— რა თქმა უნდა, თუ ჯანდაცვის სამინისტრო გადაწყვეტს, რომ პრობლემას მიუდგეს სერიოზულად, მაშინ დროულადაც გაატარებს პრევენციულ ღონისძიებებს. ბევრი მითქმა-მოთქმა არსებობს, რატომ არ დგამს ადეკვატურ ნაბიჯებს; იგივე ლუგარის ლაბორატორიაზეც ითქვა, რომ ამ გზით ვიღაც ფულს შულობს. ეს არავინ იცის და საჭიროა, საკითხით პროკურატურაც დაინტერესდეს. საერთო ჯამში კი გეტყვით: რომ არა სისტემის არაპროფესიონალიზმი, ის შედეგები არ გვექნებოდა, რაც გვაქვს.**

**სალომე ლემონჯავა**

# არის თუ არა ანაკლიის პორტი „თიბისის“ წინააღმდეგ აგორებული კამპანიის რეალური მიზეზი

(პირველი გვერდიდან)

მაშ, ვისზე მიდის ეს იერიში და რატომ? რა პროცესის თვითმხილველები ვართ და სინამდვილეში რა დგას ამ სწრაფი და არცთუ დამაჯერებლად დასაბუთებული იერიშის უკან. ფაქტია, რომ „თიბისი ჰოლდინგი“ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დივერსიფიცირებული ჯგუფია, რომლის სახელსაც უამრავი წარმატებული კომპანია უკავშირდება: „ბორჯომის“ მწარმოებელი „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“, უძრავი ქონების „ლისი დეველოპმენტი“, „თიბისი დაზღვევა“ თუ კიდევ ბევრი სხვა ის სახელებია, რომლებიც წლების განმავლობაში შესაბამისი ინდუსტრიების ბაზარზე უპირობო ლიდერებად ჩამოყალიბდნენ. თუმცა, ეს შთამბეჭდავი ჩამონათვალიც კი, მნიშვნელობის თვალსაზრისით, ახლოსაც ვერ მივა იმ პროექტთან, რომელსაც „თიბისი ჰოლდინგი“ ბოლო წლებშია შეჭიდებული და რომელიც ზღვისპირა ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას, ასევე, მასთან მიმდებარედ ქალაქის და შესაბამისი სპეციალური ეკონომიკური ზონის პროექტს უკავშირდება.

მოცემულობითა და პერსპექტივით ეს არის ნამდვილად უნიკალური პროექტი, რომლის მასშტაბისაც საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის ისტორიაში მხოლოდ „ბიპის“ ნავთობსადენი თუ იყო – სხვა ანალოგი დამოუკიდებლობის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, სამწუხაროდ, ქვეყანაში ჯერ არ შექმნილა. პროექტი, რომელსაც თანაბრად დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობისაა და რომელსაც აქვს პოტენციალი, ერთი მხრივ, ქვეყანა რუსეთის არაჯანსაღი ინტერესების სფეროდან გამოგლიჯოს და, მეორე მხრივ, საინვესტიციო შიმშილით გაწვალებულ საქართველოს სახელმწიფოს სავსებით ახალი პერსპექტივა და მისგან მომდინარე სოლიდური შემოსავლები თუ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი არაფინანსური სარგებელი მოუტანოს.

ანაკლიის პროექტი ერთდროულად პოლიტიკური და ეკონომიკური პროექტია და სწორედ ამიტომ ადევს მას ძალიან მაღალი ფასი. ამიტომ უქადის მისი დაკარგვა საქართველოს მნიშვნელოვანი პერსპექტივის მოშლას და ეს არც არავის დაუმალავს.

მაგალითად, ამერიკის შეიარაღებული ძალების დაჯგუფების ექსმეთაურმა ევროპაში ბენ ჰოჯესმა „ამერიკის ხმას“ შარშან დაუფარავად განუცხადა: „საქართველო უკვე უნდა იდგეს ნატოს წევრ ქვეყნად გადაქცევის გზაზე. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის არმიას საქართველოს ტერიტორიის 20% დღემდე აქვს ოკუპირებული. იმის მიუხედავად, რომ სარკოზისთან შეთანხმებაზე ხელის მოწერიდან ათი წლის შემდეგ, როცა ივალდებულეს, რომ წავლენ, რუსები დღესაც ჯერ ისევ იქ არიან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი იმყოფებოდა, ჩვენ დასავლეთი გერმანია ალიანსში მაინც შევიყვანეთ. ვფიქრობ, საქართველოს ალიანსში შესაყვანად მოვძებნით საშუალებას. საქართველოს უკვე აქვს პორტი აზიასა და ევროპას შორის. მას შემდეგ, რაც ანაკლიაში ახალი პორტის მშენებლობა დასრულდება, საქართველო აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი რგოლი გახდება. მიმაჩნია, რომ ეკონომიური ურთიერთდამოუკიდებლობა აძლიერებს უსაფრთხოებას. იმიტომ, რომ ამ ახალი პორტის მიმართ ყველას საერთო ინტერესი აქვს. ყველა დაინტერესებულია, რომ საქართველო საპორტო ქვეყანა გახდეს, სტაბილურობა და ღიაობა შეინარჩუნოს. ეს საქართველოს უსაფრთხოებას აამაღლებს და უზრუნველყოფს უმთავრესს, წონასწორობას შავი ზღვის რეგიონში“. – კადრის სამხედრო ბენ ჰოჯესი ზედმეტს არასოდეს ლაპარაკობს.

თუმცა, მის მიერ ნათქვამი არც საჭიროებს დამატებას – სამვარსკვლავიანმა გენერალმა, რომელიც ევროპაში ამერიკულ სამხედრო კონტინგენტს 2014-2017 წლებში სარდლობდა და კარგად იცის რუსული საფრთხის ყველა ნიუანსი, ანაკლიის პორტის მნიშვნელობა ამ ახსნით ნათლად გამოკვეთა.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენელი EMERGING EUROPE-თან** საუბრისას ხაზს უსვამს საქართველოსთვის ანაკლიის პორტის მნიშვნელობის ფაქტს. „ანაკლიის პორტი უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, ვინაიდან ის გამოკვეთს მარშრუტს ევროპასა და ჩინეთს შორის კავკასიის გავლით და უცხოელი ინვესტორების დამატებით ინტერესს მოიზიდავს მარშრუტის შემუშავების პროცესში. ეს საქართველოს გაამყარებს, როგორც კავკასიის ლოგისტიკურ ცენტრს და გააძლიერებს მის კავშირებს როგორც ევროპასა და ჩინეთთან, ისე უახლოეს მეზობლებთანაც“.

„ჩინეთი ფიქრობს, შეამციროს რუსული ტრანსციმბირული მაგისტრალით გადაზიდვების 40-50%-იანი სუბსიდირება, რადგან რუსულ სარკინიგზო ინფრასტრუქტურას სიმძლავრეების დეფიციტი და ძალიან ნელა მოძრავი სატვირთო შემადგენლობები ჰყავს. რუსეთმა ვერ დაარწმუნა ჩინეთი, ივალდებულოს ტრანსციმბირული და ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალების მოდერნიზების დაფინანსება. რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო კი იმ აზრისკენ იხრება, რომ შეწყვიტოს ჩინეთთან ამ მიმართულებით თანამშრომლობა, თუ მათგან შესაბამისი დაფინანსების პირობა ვერ მიიღო“. **ამას უკვე GLOBAL RISK INSIGHTS' BELT AND ROAD INITIATIVE-ის 2018 წლის იანვრის კვლევაში ვკითხულობთ.**

ამ ანალიზის საფუძველზე და მათი გათვალისწინებით, არსებობს დამატებითი პოტენციალი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მეშვეობით ვაჭრობის გაფართოების თვალსაზრისით. ჩინეთი განიხილავს ამას, როგორც ევროპასთან და დანიშნულების სხვა პუნქტებთან ვაჭრობისა და ტვირთბრუნვის გაზრდის პოტენციურ შესაძლებლობას, რაც ხსნის კიდეც მის ინტერესს პორტის მიმართ.

სწორედ ამ კონტექსტში განსაკუთრებით საგულისხმო იყო აგვისტოში თბილისში, **აშშ-ის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციის (OPIC) აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის დევიდ ბოჰიგიანის** განცხადება, რომ „ანაკლიის პორტის განვითარება იმ დამაკავშირებელი გეგმის ნაწილია, რომლის მიხედვითაც შავი ზღვა უნდა განვითარდეს, როგორც რეგიონული და გლობალური ჰაბი“.

ფაქტია, სწორედ ასე ავსებს ერთმანეთს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებელი ანაკლიის პროექტში, რომელიც ბოსფორის სრუტის აღმოსავლეთით არსებული ერთადერთი ღრმაწყლოვანი ნავსადგური იქნება, „პოსტ პანამაქსის“ ტიპის გემების მიღებას რომ შეძლებს. ეს კი ჩვენს რეგიონში საზღვაო ნაოსნობას უხსნის ახალ გზას და ევროპას ცენტრალურ აზიასა და ჩინეთთან დამაკავშირებელ უშუალო და იაფ მარშრუტს სთავაზობს.

ეს არის რეალური და ხილული შანსი, რომ საქართველო ნამდვილად იქცეს საპორტო ქვეყნად, ამ სიტყვის სრული გაგებით და ამომწურავად მოახდინოს იმ პოტენციალის რეალიზება, რასაც მას შავი ზღვის მიმდებარედ არსებობა აძლევს. კერძოდ, შეცვალოს თამაშის წესები, გააჩინოს ახალი შესაძლებლობები და არ ისარგებლოს მხოლოდ მისი ფრაგმენტებით, როცა ზღვა მხოლოდ ტურისტული სეზონის ატრიბუტი ან უსისტემო სატრანსპორტო – საგადამზიდავო პოლიტიკის არაეფექტიანი ინსტრუმენტია.




დღეს ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა ქართული პორტების მომსახურების სიძვირე, დაბალეფექტურობა და არასანდოობაა. უამინდობის გამო, საქართველოს პორტები წელიწადში, საშუალოდ, 83 დღის განმავლობაში გაჩერებულია, რაც დერეფნის სანდოობასაც ამცირებს და ტვირთის სხვაგან გადამისამართებას იწვევს. ანაკლიის პორტის მშენებლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დერეფნის სანდოობას და გადაზიდვის ფასებსაც შეამცირებს. ფასის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება საზღვაო საკონტეინერო ტერმინალი, რომელიც ახალი ტექნოლოგიებითა და კონტეინერების დამუშავების სისწრაფით გამოირჩევა. და რაც მთავარია, ბევრი სხვა მოყოლილი და არარეალიზებული პროექტისგან განსხვავებით, ანაკლია არ არის მხოლოდ ქაღალდზე დატანილი მაკეტი – იქ უდიდესი მოცულობის სამუშაო უკვე შესრულებულია, უამრავი თანხაა ინვესტირებული და პროექტი შეუქცევად ფაზაშია გადასული.

**და სწორედ აქ, ამ ეტაპზე ხდება წელს ქვემოთ დარტყმა ანაკლიის პროექტის ერთ-ერთ ლიდერ განმახორციელებელზე – „თიბისი ჰოლდინგზე“. მოწმენდილ ცაზე „იქოქება“ მთელი კამპანია, რომ „თიბისი ჰოლდინგის“ მესვეურები კრიმინალები არიან, ფულს ათეთრებენ და ამის გამო სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტები არიან. ალბათ, სწორედაც რომ „იდეალური“ დახასიათებაა პარტნიორისთვის, რომელმაც უახლოეს დღეებში პორტის ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან სრულფასოვანი თანამშრომლობა უნდა დაიწყოს, რაც, მარტო პირველ ეტაპზე, 600 მილიონი დოლარის ინვესტირებას და 2 000 ადამიანის დასაქმებას, სულ კი, მთელი პროექტის განმავლობაში, 2,5 მილიარდი დოლარის დაბანდებას და 2020 წლიდან უკვე გემების მიღებასაც გულისხმობს.**

სამწუხაროდ, ეს კინო ბევრჯერ გვაქვს ნანახი. ისიც ზუსტად ვიცით, რომელი სახელმწიფო ხეირობს ხოლმე ყველაზე მეტად ამგვარი მოულოდნელი ცვლილებებით. სწორედ მისი სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები ჩნდებიან ხოლმე ამგვარი თამაშების „ბოლო სერიებში“, როცა დასავლური ბიზნესი ქართული სივრციდან, პირდაპირ თუ ირიბად, უკანმოუხედავად იდევნება. მით უფრო, რომ ის ანაკლიის პორტს თავისი ნოვოროსიისკის კონკურენტადაც განიხილავს და ყველაფერს ილონებს მის ჩასაძირად.

სწორედ ამიტომ შეიძლება, რომ ანაკლიის პროექტმა, რომელიც რუსული გავლენიდან ქვეყნის დახსნა-გამოგლეჯის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი უნდა გამხდარიყო, ეს ფუნქცია დაკარგოს ან მნიშვნელოვნად დაუკნინდეს. ამ პროცესში კი ძალიან ორგანულად ჩაეწერება ის აურზაური, რაც ბოლო ორი დღის განმავლობაში ანაკლიის პროექტის ერთ-ერთი წამყვანი განმახორციელებელი კომპანიის გარშემო ასეთი აღვირახსნილი ფორმით წარმოებს.

**COMMERSANT.GE**

## თბილისის მეტროპოლიტენი 53 წლისაა

**თბილისის მეტროპოლიტენი – სწრაფი ტრანზიტის მეტროს სისტემა თბილისში 1966 წელს გაიხსნა. ამჟამად თბილისის მეტროში 23 მოქმედი სადგურია, აქედან 16 განლაგებულია გლდანი-ვარკეთილის, ხოლო 7 – საბურთალოს ხაზზე. ხაზების საერთო სიგრძეა 26,4 კმ. ექსპლუატაციაში შევიდა 1966 წლის 11 იანვარს და მეოთხე მეტროს სისტემა იყო საბჭოთა კავშირში(მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის შემდეგ). დანარჩენი საბჭოთა მეტროს სისტემების მსგავსად სადგურების უმეტესობა ძალიან ღრმად არის მიწისქვეშ და დეკორაციით გამოირჩევა. ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება როგორც ძველი „ე“ ტიპის სხვადასხვა მოდიფიკაციის ვაგონები, ასევე შედარებით ახალი ტიპი 81-717/714. ვაგონებს ემსახურება ორი დეპო, „ნაძალადევი“ და „გლდანი“.**



# „ყველაფერი იციან და ყველაფერი გაეგებათ მხოლოდ სულელებსა და თაღლითებს“



## ასე ამბობდა ანტონ ჩეხოვი

### ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

## თავიანთი დროის გმირები

გოგონა, რომელიც არცროდის სოფელში არა ყოფილა, თავისებურად გრძნობს სოფელს და ბოდავს მასზე, ტიკტიკებს ჭკა ჩიტებზე, ყვავებზე, კვიცებზე, წარმოიდგენს ბულვართ და ხეებზე შემომსხდარ ჩიტებს.

*   *   *

სემინარისტი სოფელში ლათინურს იზეპირებს. ყოველ ნახევარ საათში შერზის სამოახლოში და თვალებდახუჭული უხიცინებს, ჩქმეტს მოახლე გოგოებს, ისინი ჟივჟივებენ, კისკისებენ და სემინარისტი ისევ წიგნს უბრუნდება. ამას ის „გამოცოცხლებას“ ეძახის.

*   *   *

რა საოცარი სახელწოდებებია: ღვთისმშობლის ცრემლები, გულწითელა, ყვავის თვალები...

*   *   *

სასიამოვნო ადამიანია. სუყველა იცნობს. ბევრს კითხულობს. ჩემი სამი წიგნი უკვე წაიკითხა. ისე, გვარიანად დაბნეულია, დღეს გეტყვის, რა სასწაული კაცი ხარო, ხვალ კი ვიღაცას საიდუმლოდ შეატყობინებს შენზე, მაგან თქვენი საყვარლის ქმარს შავი, ლურჯზოლიანი წინდები მოჰპარაო...

*   *   *

პაპას თევზს აჭმევენ და თუ არ მოიწამლა და ცოცხალი დარჩა, მერე იმ თევზს მთელი ოჯახი ჭამს.

*   *   *

ანდაზა: ფარაში თუ მოხვდი, გინდა, იყეფე, გინდა – არა, კუდი კი უნდა აქიცინო.

*   *   *

N ურეკავს მსახიობ ქალს: შეცბუნებულია, გული უფანცქალებს, ბოლოს და ბოლოს დამფრთხალი გარბის; მოახლე კარს აღებს და ვერავის ვერ ხედავს. კაცი კვლავ მიდის და რეკავს, კვლავ შიგ შესვლას ვერ ბედავს. საქმე იმით მთავრდება, რომ გამოდის მეეზოვე და ცოცხს კისერში ურტყამს.

*   *   *

ერთი მოკრძალებული კაცის იუბილეს ზეიმობდნენ. რაკი თავის გამოჩენის მიზეზი ნახეს, დაიწყეს ერთმანეთის ქებადიდება, მაღალფარდოვანი სადღეგრძელოების წარმოთქმა და მხოლოდ ნადიმის ბოლოს აღმოაჩინეს, რომ იუბილარის დაპატიჟება დავიწყებოდათ.

*   *   *

მან ყველაფერი კეთილ საქმეთათვის მოსახმარებლად დატოვა, რათა არცრა დარჩენოდათ არც ნათესავებსა და არც შვილებს, რომელნიც სძაგდნენ.

*   *   *

კეთილ ადამიანს ხან ძაღლისაც კი რცხვენია.

*   *   *

ჩვეულებრივნი პირმოთნენი თავს მტრედებად იკატუნებენ, პოლიტიკურნი და ლიტერატურულნი კი – არწივებად. მაგრამ, ნუ შეგაცბუნებთ იმათი არწივული გამოხედვა. ეგენი არწივები კი არა, ან ვირთხები არიან, ან ძაღლები.

*   *   *

ვერ ვიტან, როცა ბავშვები ყვირიან, მაგრამ, თუ ჩემი ბავშვი ტირის, არ მესმის.

*   *   *

არ არის ისეთი რამ საგანი, რაც ებრაელს გვარად არ გამოადგება.

*   *   *

გვარების კოლექცია
როზალია ოსიპოვნა არომატი.
პროვიზორი პროპტერი.
ებრაელი პილპილა.
ებრაელის გვარი: ჩაჩი.

*   *   *

ბოროტებისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლება, კეთილისთვის წინააღმდეგობის გაწევა – შეიძლება.

*   *   *

ხანისად რა აუტანელნი არიან ის ადამიანები, ბედნიერნი რომ არიან, რომელთაც ყველაფერი გამოსდით!

*   *   *

N-ს სიყვარულზე ფილოსოფობა შეეძლო, თვითონ სიყვარული კი – არა.

*   *   *

ლოთობისგან და კეთილ ძმაკაცთაგან მოკვდა, რომელთა nomina odiosa*, უგუნური, დაუდევარი, გულგრილი დამოკიდებულება როგორც საკუთარი, ისე სხვისი სიცოცხლის მიმართ – აი, რით მოკვდა ის 37 წლის ახალგაზრდა კაცი.

*   *   *

ბრძოლაში დაღუპულთ სირცხვილი არ უწყიან, მაგრამ საშინლად ყარან.

*   *   *

როცა ადამიანები ჩუმად არიან, ესე იგი, სალაპარაკო არაფერი აქვთ ანდა რცხვენიათ.

---

** რომელთა სახელებს ნუ ვახსენებთ.*

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №263-265 (2018 წელი) იხ. №1 -2, 6 (2019 წელი)**

*   *   *

პავლე 40 წელიწადი ამზადებდა და თვითონვე ებიზღებოდა თავისი მომზადებული, ერთხელ რა არის, ერთხელაც არ უჭამია.

*   *   *

ქმარმა ახლობელნი ყირიმში დაპატიჟა თავის აგარაკზე, ცოლმა კი მერე, ქმრისგან ფარულად, სტუმრებს ანგარიში წარუდგინა და სუფრისა და ბინის ფულიც აინაზღაურა.

*   *   *

არისტოკრატია? იგივე ფორმათა სიგონჯე, ფიზიკური სიბინძურე, იგივე ნახველი, უკბილებო სიბერე და საზიზღარი სიკვდილი, რაც მეშჩან ქალთა ხვედრია.

*   *   *

მეჩირაღდნედ მუშაობს დამკრძალავ ბიუროში. იდეალისტია.

*   *   *

...მიტიამ და კატიამ მოისმინეს, როგორ აფეთქებდა იმათი მამა კლდეებს ქვის სამტეხლოზე და იმათაც გადაწყვიტეს ბრაზიანი პაპის აფეთქება, მამას კაბინეტში ერთი გირვანქა დენთი აწაპნეს, ბოთლი პირთამდე გაავსეს, პატრუქი გაიყვანეს და პაპის სავარძლის ქვეშ დადეს, როცა ნასადილევს პაპას ჭოჭოქისგან, ანუ მოუთმენელი თვლემისგან თვალები ებლიტებოდა, მაგრამ ზედდატანებაზედ მუსიკააჟღერებულმა ჯარისკაცებმა ჩაიარეს – და მხოლოდ ამან შეუშალა ხელი შვილიშვილებს პაპის აფეთქებაში.

*   *   *

კაცი, რომელიც მუდამ გვაფრთხილებს: „მე სიფილისი არა მაქვსო. მე პატიოსანი კაცი ვარო. ჩემი ცოლიც პატიოსანი ქალიაო“.

*   *   *

X მთელი ცხოვრება სულ იმას ამბობდა და წერდა, ჩემი მსახური გაფუჭებული ვინმეაო, არ ვიცი, როგორ გამოვასწორო და ავლაგმოო, და ერთხელაც მოკვდა ყველასაგან მივიწყებული, თავთით მარტო თავისი ლაქია და მზარეული ქალი ადგნენ.

*   *   *

რომელიმე ერთი: იჯექი ძარაში ანდა ჩამოძვერი ძარიდან.

*   *   *

ნამდვილი მამაკაცი შედგება მამისა და კაცისგან.

*   *   *

აზნაურმა X თავისი ადგილ-მამული N-ს მიჰყიდა მოწყობილობითა და ინვენტარით და თითქმის ყველაფერი გადამალა, თვით ღუმლის სასულეებიც კი, და ამის შემდეგ N-ს შესძულდა სუყველა აზნაური.



*   *   *

N ოდესღაც ძაღლებმა დაგლიჯეს, და ახლა, როცა სადმე შედის, კითხულობს:
– აქ ძაღლები ხომ არ არიანო?

*   *   *

„სიგების დიდი არჩევანი გვაქვს“ – ასე კითხულობდა აბრას X ყოველდღე, როცა იმ ქუჩას აივლიდა და ჩაივლიდა, თან უკვირდა, როგორ შეიძლება მარტო სიგით ვაჭრობაო ან ვის უნდა ამდენი სიგა, სხვა თევზი გაწყდა თუ რაო და მხოლოდ 30 წლის შემდეგ წაიკითხა მართებულად, ყურადღებით: „გვაქვს სიგარების დიდი არჩევანი“.

*   *   *

ქრთამი ინჟინერს: დინამიტის ვაზნა, ასმანეთიანებით გატენილი.

*   *   *

ბებიას 6 ვაჟი და 3 ქალიშვილი ჰყავს და ყველაზე ძალიან უყვარს უიღბლო, ხელგამდგარი, რომელიც სვამს და ოთხკედელშუა იჯდა.

*   *   *

ძალიან ინტელიგენტური ადამიანია, მთელი თავისი ცხოვრება ცრუობს ჰიპნოტიზმზე, სპირიტიზმზე და უჯერებენ, არადა, კარგი კაცია.

*   *   *

N ყოველდღე დადის X-თან, საუბრობენ, ანუ როგორც თვითონ იტყოდნენ, სოლბოითლობენ გრძნობიერად; ანაზდეულად X სახლიდან მიდის, სადაც თავს აგრე კარგად გრძნობდა. N ეკითხება დედამისს, რატომ წავიდაო. დედა უპასუხებს: იმიტომ წავიდა, რომ ყოველდღე გადაბმულად დადიოდიო.

*   *   *

პატიოსნები არ ცრუობენ, როცა საჭირო არ არის.

*   *   *

როგორც კი რომელიმე დიდი კაცის სიკვდილს გაიგებს, შავად იმოსება და გლოვობს.

*   *   *

პარბა გვარიანად ტრიალი, გაუდაბნოებული, ერთფეროვანი, გადახრუკული ტრამალი ისე ვერ დაგანაღვლიანებს, როგორც მავანი კაცი, როცა ძვალს გააგდებს, ზის, ენას არ აჩერებს და არ იცი, როდის ადგება და წავა.

*   *   *

„ცინიკოსი“ ბერძნული სიტყვაა, შენს ენაზე გადმოენებული ნიშნავს ღორს, რომელსაც სურს, რომ მთელმა ქვეყნიერებამ იცოდეს, რომ ღორია.

*   *   *

საშინელებაა ყოველდღე იმ კაცთან სადილობა, რომელიც ბლუა და სისულელეებს ლაპარაკობს.

*   *   *

მწერთ მუხლუხიდან პეპელა უფრინდებათ, ადამიანებს კი პირიქით: პეპლიდან მუხლუხი გამოსდით.

*   *   *

– ადამიანს მხოლოდ სამი არშინი მიწა უნდა. ადამიანს კი არა, გვამს. ადამიანს მთელი დედამიწა უნდა.

*   *   *

ღარიბთ უფრო ადვილად სთხოვთ, ვიდრე მდიდართ.

*   *   *

გონიერსა სწავლა უყვარს, ბრიყვს – სწავლება!

*   *   *

X ფილოსოფოსობს: „ავიღოთ თუნდაც სიტყვა „ცხვირი“, ეშმაკმა უწყის, რა არის ეს ჩვენთვის, შეიძლება თქმა, სხეულის ურიგო ნაწილია. ფრანგებისთვის კი ქორწილია“. მართლაც X-ს ცხვირი სხეულის ურიგო ნაწილად ჰქონდა.

*   *   *

ყველა ჩვენგანში მეტისმეტად ბევრი ხრახნი, ბორბალი და სარქველია, რათა ერთმანეთზე მსჯელობა შეგვეძლოს პირველივე შთაბეჭდილებით ანდა ორი-სამი გარეგნული ნიშნით.

*   *   *

რაღა ფული და რაღა არაყი, ორივე ამწყერიანებს ადამიანებს.

*   *   *

მოქმედი პირი ისეთი განუვითარებელია, რომ ვერ იჯერებ, უნივერსიტეტი გავლილი აქვს თუ არა.

*   *   *

ტყუილი იგივე ალკოჰოლიზმია. ქოსატყუილები, სული რომ ამოსდით, მაშინაც იტყუებიან.

*   *   *

ადამიანი მაშინ ლაპარაკობს სისულელეებს, როცა მართალი არ არის და არც ჭკვიანია.

*   *   *

ყველაყა იციან და ყველაყა გაეგებათ მხოლოდ სულელებსა და თაღლითებს.

*   *   *

როს ხნიერ ხალხს ცოტა ჭამას ვურჩევ, ისინი ამას თითქმის პირად შეურაცხყოფად იღებენ.

*   *   *

ბოღმა თავისებური სულმოკლეობაა.

**(გაგრძელება იქნება)**

## მაია მახარაშვილი

მაია მახარაშვილი არის XXI საუკუნეში პირველი ქართველი ქალი-რომანისტი და საქართველოში ფანტასტიკური დეტექტივის ჟანრის ფუძემდებელი, წერს ქართულ და რუსულ ენებზე, არის სამართლის დარგში სამეცნიერო (საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი" (2000 წ.) და ეკონომიკის დარგში საგაზეთო (გაზეთები „მაცნე" და „ერქვანი", 1993 წ.) სტატიების, პოეტური და პროზაული ნაწარმოებების ავტორი. გამოცემული აქვს 2 წიგნი: პოეტური კრებული „საქართველო მოიშუშებს იარებს" (2011 წ.) და პირველი ქართული ფანტასტიკური დეტექტივი, რომანი „უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი" (2016 წ.). 2015-2016 წლებში მისი შემოქმედება წარმოდგენილია აკადემიის ანთოლოგიასა და ლიტერატურულ ჟურნალში „ათინათი", ასევე კრებულების სერიაში „ჩანაწერები ინგას უბნიდან": „გულთან ახლოს", „რჩეული", „მუზა" და „ბათუმს.

მაია მახარაშვილი ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც, მან რუსულ ენაზე თარგმნა მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრის ნაირა მარშანიას ქართულ-აფხაზური ურთიერთობისადმი მიძღვნილი პროზაული და პოეტური კრებული „ადრე, თუ გვიან" (2016 წ.) და მწერლისა და პუბლიცისტის ინგა გოგიბერიძის მინიატიურებისა და ეპიტაფიების კრებული „ასე მგონია, არფაზე უკრავ" (2015 წ.).



ნაწარმოებების: „უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი" (2014 წ.), „ნიღაბჩამოხსნილი ქალები" (2015 წ.) და „ობოლი გოგონას მამა — კაცი, რომელიც ყველას უყვარდა" (2015 წ.) ელექტრონული ვერსიები განთავსებულია ელექტრონული წიგნების სახლის „საბა"-ს საიტზე.

# სამყაროში მოდის წელი ახალი

### მრავალ ახალ წელს

დედამიწამ მზეს კვლავ შემოუფრინა,
ჟამთა ქროლვას თან მიჰყვება ეს წელიც...
ისტორიას ვუერთდებით უჩინრად,
მაგრამ წარსულს ვერასდროს დავეწევით.

სამყაროში მოდის წელი ახალი,
დედამიწაც სამეჯლისოდ ირთვება...
ვადღეგრძელებ სურნელებას მამულის,
მზიან დღეს და ოცნებების მიგნებას.

ქართველებო, უფლის მადლი გფარავდეთ
სვეტიცხოვლის ხელთუქმნელი ნათელით!
საქართველო შევავედრე ალავერდს, –
გულს ჩამადნა მოციმციმე სანთელი...

ჩვენი ერის ნათელმოსილ მომავალს
დაებედოს ლაჟვარდმფენი ფერები...
მრავალ უხვ და ფეხბედნიერ ახალ წელს
შევხაროდეთ ლხინითა და შენებით!

### აღმოცენდება თესლი ქართული

ვაზის შრიალში,
ურმის ჭრიალში,
ხმალთა ჟღრიალში,
სისხლის ჩხრიალში
ძლიერდებოდა სული ქართული.

წამთა წრიალში,
ქართა ქრიალში,
ქვათა გრიალში,
ზართა ზრიალში
იძერწებოდა ასომთავრული.

დრო და დრო გვჟლეტდნენ ბავშვებს და მხედრებს...
ღვთისმშობლის ლოცვა მარადისია,
აღორძინებულ ზედაშეებზე
აღმაშენებლის გასაგისია...

ღვთის მადლი გვმოსავს, წინაპართ მიწა
დავით მეფემან სრულქმნილად გვიძღვნა.
ოდეს ქვეშევრდომთ მოძღვრავდა რწმენით,
თავდადებისთვის მზად იყო ერი.

„ქართვლის მზე კვლავაც ამობრწყინდება", –
სთქვა მეფეთაგან უდიადესმა, –
„თუ აღვამაღლებთ სამშობლოს მიზნებს
პირად ზრახვებზე უპირატესად"...

თავისუფლება გვიბოძა ზენამ,
ძველ ნაფუძარზე ვაშენებთ ახალს.
აღმშენებლობას წარმატებაც და
შეცოდებებიც ყოველთვის ახლავს.

დღესაც ძირძველი არსი შენების
მეფე დავითის თვალსაზრისია:
ყველა ნაბიჯი ანგარებითი –
სამშობლოსათვის დანაკლისია.

რწმენის სიწმინდით,
სულის სიმტკიცით,
აზრთა სიმშვიდით,
სუფთა სინდისით
მომავლისაკენ გვლოცავს წარსული.

სხივთა ცქრიალში,
მიწის ტრფიალში,
ნიჭის კრთომაში,
ერთგულ შრომაში
აღმოცენდება თესლი ქართული.

### წლები ქრებიან

წლები ქრებიან ფიფქებად,
ჟამთასვლა იმედს უსწრებს...
სიკეთე არ ავიწყდება
ჩემს სულს, მხნესა და უდრეკს.

დიდი ხანია მივყვები
ბილიკით სრბოლას მზისას,
ხან სევდის ნისლში ვინთქმები,
ხან კი – ნაპრალში კლდისა.

ხან იის ფარდაგს მიშლიან,
ხან კი – ასკილის რტოებს,
ზოგჯერ ტაძრისკენ მივფრინავ,
ზოგჯერ ოცნებაც მტოვებს,
და დაისის ცას უჩუმრად
ვუახლოვდები კრძალვით...
აღმა-დაღმა და უკუღმა
გადახლართულა გზანიც.

მიჰქრიან დღეთა კიდემდე,
აწმყოში ის არ მოჩანს!
თუმც მახალისებს სრბოლა და
გულით ვმეგობრობ დროსთან...

მივყვები ჩოქვით, ფრენით, თუ
ამხედრებული რაშზე –
სიბერეს ვერსად წაუვალ,
ნისლს დამივანებს ფრთაზე...

### ყველაფერი გაივლის...

გული გატკინეს? რა მოხდა მერე!
წყენას უგუნურს ქარი წაიღებს.
ვერ დაგაფასეს? სიცოცხლის ფერებს
თვით უკვდავება გაგინაწილებს.

ებრძვი ჩანაფიქრს, მაგრამ ურჩია
და ხელთ გისხლტება ანცი წამივით?
ნუ დანებდები, რწმენა უტყვია,
მოულოდნელი ათინათივით...

### ღვთის შვილი ვარ — კალმოსანის ხვედრი

ცის და მიწის შესაყართან მივალ,
გზად შემხვდება არლივი ასაფრენი,
სეტყვა ზვრებზე ჩამოდნება ცვილად,
გადავლახავ ტრამალს აღმაფრენით.

ვარდის კოკრის და საკურის კვირტის
სინატიფე დამიშაქრავს მზერას,
შემომძახებს დრო უსაზღვრო სივრცის,
ალიონზე რომ დაიწყებს რბენას.

რადგან არსით ღვთის შვილი ვარ, ვიცი.
მზე სხივებით სიტყვათ კონას მაფრქვევს,
მანებივრებს ათინათი ცისკრის
და მიგზავნის ცის წყალობას ნათელს...

ღვთის საჩუქარს რუდუნებით ვუვლი,
სამყაროს მტვერს მერგო ნიჭი ფრენის!!!
სამშობლოსთვის სამსხვერპლოზე გულის
განფენაა კალმოსანის ხვედრი...

## თბილისის აზერბაიჯანულ თეატრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ჰ. ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად თურგაი ველიზადე დაინიშნა.



თურგაი ველიზადე საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. მოგვიანებით მან დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურის სარეჟისორო ფაკულტეტი.

თურგაი ველიზადე თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში დაარსების დღიდან მუშაობს მსახიობად და რეჟისორად. მას დადგმული აქვს რამდენიმე სპექტაკლი როგორც თბილისის აზერბაიჯანული თეატრის სცენაზე, ასევე პოლონეთისა და ლიტვის სხვადასხვა ქალაქებში. თურგაი ველიზადეს მონაწილეობა აქვს მიღებული ქ. ბაქოს, ლიტვისა და თურქეთის რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში და დაჯილდოებულია წლის საუკეთესო რეჟისორად.

## ბათუმი აუცილებლად უნდა მოინახულოთ!..

Airbnb-ის შემდეგ ბათუმს 2019 წელს სამოგზაურო ქალაქებს შორის New York Times ასახელებს. სტატიაში დასახელებულ 52 ტურისტულ ადგილს შორის ბათუმი ისეთი ქვეყნების ქალაქების გვერდითაა, როგორებიცაა საფრანგეთი, იტალია, გერმანია, იაპონია, ამერიკა და სხვები.

„თბილისი, საქართველოს მიმზიდველი დედაქალაქი,



ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტურისტების ნაკადს ვერ აუდის. მაგრამ ბათუმი, წყნარი ზღვისპირა ქალაქი, სადაც მწვანე მთები შავი ზღვის ქვიან სანაპირომდეა გადაჭიმული, სხვაგვარ შთაბეჭდილებას გვთავაზობს". ამ სიტყვებით იწყებს წერას ჟურნალისტი, რომელიც ამბობს, რომ ქალაქის სტუმრებს შორის პოპულარული ბათუმი, მალე დანარჩენი მსოფლიოსთვისაც აღმოჩენა იქნება. სტატიაში ხაზგასმულია ქალაქის მზარდი ტურისტული ინფრასტრუქტურა, ბოტანიკური ბაღი და მეღვინეობა, თავისი ღვინის ბარებითა და საოჯახო მარნებით.



# შენ მანქანაში ასხამ – ის ჯიბეში იდებს

**საწვავის ფასების პრობლემის გადაჭრას აგერ უკვე მერამდენე წელია, ჩვენში საშველი არა და არ დაადგა. ამ საკითხის მნიშვნელობაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია: საწვავის ფასზე ცხოვრების სიიაფე-სიძვირე და, მაშასადამე, მოსახლეობის სოციალური ყოფის დონეა დამოკიდებული. საქართველოში საწვავის ფასებს ნავთობპროდუქტების იმპორტიორი რამდენიმე დიდი კომპანია კარტელური გარიგებით რომ განსაზღვრავს, დღესავით ნათელია და ამ ფაქტს ვერანაირი საპირისპირო განცხადება ვერ გააბათილებს, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს.**

წლების მანძილზე მსოფლიო ბაზარზე ნედლ ნავთობსა და, შესაბამისად, ნავთობპროდუქტებზე (ამ შემთხვევაში მხედველობაში მხოლოდ ბენზინი და დიზელის საწვავი გვაქვს) ფასების აწევდაწევა (ხშირად საკმაოდ საგრძნობიც!), სამამულო ბაზარზე მყისიერად და, რაც მთავარია, შესაბამისად, მხოლოდ პირველ შემთხვევაში ხდებოდა. რაც შეეხება დაწევას, ის მომხმარებლისთვის არსებითად საგრძნობი არც არასდროს ყოფილა, შესაბამისად, არც სამომხმარებლო ფასებზე ასახულა ისე, რომ ცხოვრების შესამჩნევი გაიაფება ყოფილიყო.

დღესდღეობით ჩვენში ბენზინი სამამულო ექსპორტიორებს რუსეთიდან და რუმინეთიდან, დიზელის საწვავი კი აზერბაიჯანიდან შემოაქვთ, სადაც მსოფლიო ბაზარზე დადგენილი ფასებით ყიდულობენ. ბოლო თვეების მანძილზე ეს ფასები იმდენად მნიშვნელოვნად შემცირდა, რომ რუსეთის მთავრობაც კი, რომლის ბიუჯეტი, მნიშვნელოვანწილად, ნავთობისა და გაზის ფასზეა მიბმული, შეშინდა. ჩვენში კი, ჩვეულებისამებრ, ბენზინის ფასმა უმნიშვნელოდ, რაღაც 10 თეთრით თუ მოიკლო. არადა, ყველაზე მეტად მოხმარებად რეგულარის მარკის ბენზინი, რომლის საბითუმო ფასი 1,75 ლარია, უკლებლივ ყველა იმპორტიორი კომპანიის ავტოგასამართ სადგურზე 2,75 ლარად იყიდება(!). დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სხვა მარკების ბენზინზეც.

ამდენად, ამ შემთხვევაში სახელმწიფო, რომელმაც მომხმარებლის უფლებები ყოველგვარი კარტელური გარიგებებისგან უნდა დაიცვას, ისევე, როგორც კონტროლიდან დიდი ხნის წინათ გამოსული ფარმაცევტული ბაზრის შემთხვევაში, ვერც ნავთობპროდუქტების იმპორტიორების ალაგმვას ახერხებს. ისინი კი, საზოგადოებას, რომ იტყვიან, თვალში „ბენზინს ასხამენ“ და „ფოჩიანი კანფეტებისნაირ“ ვითომდა „გულითადი ქველმოქმედებით“ უბრუნებენ ნაძარცვიდან გროშებს.

**ნამდვილად ბოლომდე მთლად მართალი არ იყო რომის იმპერატორი ვესპასიანე, როცა თქვა: „ფულს სუნი არ ასდის!“ ასდის კი არა, ბენზინისა და „სალიარკის“ სუნად ყარს თქვენი ნაყაჩაღარი, „ბენზოგამყიდველებო!“**

**ოთარ ტურაბელიძე**

## დონალდ ტრამპმა დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე ვიზიტი გააუქმა



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დავოსში ეკონომიკურ ფორუმზე აღარ გაემგზავრება. ამის შესახებ ტრამპმა მიკრობლოგ „twitter“-ზე დაწერა.

**„დემოკრატების საზღვრის უსაფრთხოების საკითხის დამოკიდებულებისა და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უდიდესი მნიშვნელობის გამო, იძულებული ვარ, გავაუქმო ჩემი მეტად აუცილებელი ვიზიტი დავოსში, შვეიცარიაში, ეკონომიკურ ფორუმზე. ჩემი თბილი მოკითხვა და ბოდიში დავოსის ეკონომიკურ ფორუმს“,** — დაწერა ტრამპმა.

შეგახსენებთ, რომ მე-19 დღეა, აშშ-ის მთავრობის მუშაობა ნაწილობრივ დახურულია. დონალდ ტრამპი კონგრესისგან ამერიკა-მექსიკის საზღვარზე კედლის ასაშენებლად დაფინანსებას ითხოვს, დემოკრატები კი პრეზიდენტის ამ მოთხოვნას კატეგორიულად არ ეთანხმებიან.

## „კანაფი ჩემს მშობლიურ რიზეში მოჰყავდათ ...“

**თურქეთი კანაფის წარმოებას იწყებს, ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ანკარაში ადგილობრივი თვითმმართველობის სიმპოზიუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მისი თქმით, თურქეთმა კანაფის მოყვანა მტრების გამო შეწყვიტა, რომლებიც თავს მეგობრებად ასაღებდნენ. მისი განცხადებით პოლიეთილენის პარკებს თურქეთმა „ომი“ უნდა გამოუცხადოს და მისი ჩანაცვლება კანაფისგან მოქსოვილი ბადე-ჩანთებით უნდა მოხდეს.**

2019 წლის 1 იანვრიდან ხელისუფლების გადაწყვეტილებით, პოლიეთილენის პარკები თურქეთის ყველა სავაჭრო წერტილში ფასიანი გახდა.

თურქეთის პრეზიდენტის თქმით, აქამადე თურქეთი კანაფის იმპორტს ახდენს: **„პოლიეთილენის პარკები მიწაში არ იშლება 500, 750 და 1000 წელი. ჩვენ მტკიცედ გამოვუცხადეთ მათ ომი. მე მახსოვს, რომ ჩემი მშობლები აკეთებდნენ ნაქსოვ ჩანთებს, საყიდლების შემდეგ მათ არ ყრიდნენ, რეცხავდნენ და ისევ იყენებდნენ. ეს მიწასთან მეგობრობაა. ჩემს მშობლიურ პროვინციაში, რიზეში მოჰყავდათ კანაფი, რომლისგანაც ასეთი ჩანთებისთვის ქსოვილს ამზადებდნენ“,** — განაცხადა ერდოღანმა.



## რუსეთში BBC-ის საქმიანობას საფრთხე ემუქრება

**რუსეთის კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს, „როსკომნადზორი“ BBC-ის რუსულ ბიუროს ტერორისტული დაჯგუფების იდეოლოგიის გავრცელებასა და პროპაგანდაში ადანაშაულებს. საუბარი კონკრეტულად შეეხება ისლამური სახელმწიფოს ლიდერის აბუბაქარ ალ-ბაღდადის ციტატას, რომელიც გამოყენებულ იქნა საინფორმაციო მასალაში, რამაც „როსკომნადზორის“ თქმით რუსული კანონმდებლობა დაარღვია.**

„როსკომნადზორმა“ განაცხადა, რომ ის შეამოწმებს BBC-ის საქმიანობის რუსეთის კანონმდებლობასთან შესაბამისობას. BBC-ის მიერ გამოქვეყნებული მასალების გადამოწმების შესახებ „როსკომნადზორის“ განცხადების საპასუხოდ ბრიტანულმა მაუწყებელმა განაცხადა, რომ ის მუშაობს იმ ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც იგი მაუწყებლობს.

BBC-ის წარმომადგენლის თქმით, რუსეთში, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, BBC უზრუნველყოფს აუდიტორიის დამოუკიდებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ადგილობრივი კანონმდებლობის ყველა წესისა და რეგლამენტის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ „როსკომნადზორის“ BBC-ის წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებს წინ უძღოდა დიდი ბრიტანეთის მარეგულირებელი ორგანოს (OFCOM) კრიტიკა რუსული ტელეარხის Russian Today-ის ბრიტანული ბიუროს მიმართ. OFCOM-ის მტკიცებით, რუსულმა ტელეარხმა სკრიპალების მოწამვლის გაშუქებისას მიუკერძოებლობის შეგნებულად დაამახინჯა.

OFCOM-ის კრიტიკა ყურადღების მიღმა არ დარჩენია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელს მარია ზახაროვას, რომელმაც განაცხადა, რომ რუსული მედიის საქმიანობაში ჩარევა, სხვა გზას არ უტოვებს რუსეთს, რათა მან საპასუხო ქმედება განახორციელოს. ამასთანავე, BBC-ი გამოხატავს მზაობას, ითანამშრომლოს „როსკომნადზორთან“.

## დეპუტატებიც ქურდობენ

**იტალიის ქალაქ ბარის საკრებულოს დეპუტატმა სტამბოლის ათათურქის აეროპორტის Duty Free-ს ერთ-ერთ მაღაზიაში მზის სათვალე მოიპარა, რომლის ღირებულებაც 185 ევრო იყო.**

დეპუტატი მეუღლესთან ერთად დუბაიდან სამშობლოში ბრუნდებოდა და სტამბოლის აეროპორტში გადაჯდომით იმყოფებოდა. სწორედ ამ დროს მოხდა ინციდენტი. დეპუტატი აეროპორტის ერთ-ერთ მაღაზიაში შევიდა, სათვალე მოიზომა და ისე დატოვა ტერიტორია, რომ ფული არ გადაუხდია. გარკვეული დროის შემდეგ მაღაზიის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს. ვიდეოკამერების ჩანაწერის საფუძველზე სათვალის გამტაცებლის ვინაობაც მალე დადგინდა.

იტალიელმა დეპუტატმა დაადასტურა, რომ მართლაც გაიკეთა სათვალე და ჩაფიქრებულმა დატოვა მაღაზია. შემდეგ კი ის აეროპორტის საპირფარეშოში დარჩა, სადაც ხელები დაიბანა. აეროპორტის საპირფარეშოში სათვალის პოვნა ველარ მოხერხდა.

იტალიელმა არ უარყო, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა და ქურდობა გაუცნობიერებლად მოახდინა. სტამბოლის სასამართლომ დეპუტატს, ამლკვეთ ღონისძიებად, 50 ათასლირიანი გირაო შეუფარდა.

## „გააკრიტიკე პუტინი... ააა, გეშინია?..“

**აზერბაიჯანისთვის** რაკეტების მიყიდვის გამო სომხეთის ხელისუფლებამ ბელორუსის მიმართ უკმაყოფილება გამოხატა. რა პასუხი გასცა ბელორუსის ლიდერმა სომხეთის პრემიერ-მინისტრს, ამის შესახებ ალექსანდრ ლუკაშენკომ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ისაუბრა: **„მე მას ვუთხარი, ნიკოლ მოდი, ყვეალაფერი გავარკვიოთ. ვინ იკავებს პირველ ადგილს აზერბაიჯანთან იარაღით ვაჭრობაში? ვინ? რუსეთი! ეგა რატომ გადაყლაპე...? ვუთხარი მას, გააკრიტიკე პუტინი. ააა, გეშინია? მეორე ადგილს ვინ იკავებს? ისრაელი! მესამეს — თურქეთი. მეოთხე თუ მეხუთე ადგილს, „პოლონიზები“ გათვალისწინებით ჩვენ ვიკავებთ, „პოლონიზები“ რომ არ იყოს, მეათე ვიქნებოდით. რატომ ესხმი თავს ბელორუსს? შენიანს სცემ, რომ სხვა მიხვდეს? მაშინ ასე მითხარი და გავჩუმდები“.** — განაცხადა ლუკაშენკომ.



## მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი ცოლს შორდება!

**მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი, „ამაზონის“ დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსი მეუღლეს მეკენზი ბეზოსს შორდება, ამის შესახებ წყვილმა ერთობლივი განცხადება „ტვიტერზე“ გაავრცელა.**

წყვილი ერთმანეთს დროებით გაშორებული იყო განცხადების გაკეთებამდეც, იმის გასარკვევად, თუ რა ნაბიჯს გადადგამდნენ მომავალში. ბეზოსებმა ქორწინებაში 25 წელი გაატარეს, მათ 4 შვილი ჰყავთ, სამი საკუთარი ვაჟი და ერთი ნაშვილები გოგონა ჩინეთიდან. განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი მეგობრებად და პარტნიორებად რჩებიან ერთობლივ პროექტებში.

**54 წლის ბეზოსი 160 მილიარდი დოლარით ყველაზე მდიდარი ადამიანია მსოფლიოში. მისმა დაფუძნებულმა ამაზონმა ამ კვირაში საბაზრო კაპიტალიზაციით გადაუსწრო Apple-ს და მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კომპანია გახდა. 48 წლის მეკენზი ბეზოსი- მწერალია. მან დაწერა 2 წიგნი. მის ერთ წიგნს ამერიკული ლიტერატურული პრემიაც აქვს მიღებული.**



# ლევან ჩიქვანაია ანფასში

**სამოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო, უფრო ზუსტად 1972 წლის აგვისტოს ბოლო. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში ახალი დაწყებული მაქვს მუშაობა. მთავარმა რედაქტორმა, შესანიშნავმა პიროვნებამ გრიშა საჯაიამ მიხმო და მითხრა, ხვალ ქალაქის პარტიული აქტივის კრება ტარდება განათლების საკითხებზე და შენ უნდა დაესწროო. ამ ნათქვამში სათანადო საჟურნალო მასალის მომზადებაც იგულისხმებოდა.**

მეორე დღეს, რა თქმა უნდა, ადრიანად მივედი დანიშნულების ადგილზე – პროფკავშირების სასახლეში...

დიდი დარბაზი გაივსო, მალე ფეხზე დასადგომი ადგილიც აღარსად დარჩა, ხალხი ღია კართან მოჯარდა. ყური მოვკარი, აქა-იქ კითხულობდნენ, ჩიქვანაია აქ არისო? გამოვაო? ალბათო, – პასუხობდნენ.

ლევან ჩიქვანაიას როგორ არ ვიცნობდი, თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი იყო მაშინ, მაგრამ პარტაქტივის კრებაზე მის ყოფნა-არყოფნაზე რატომ ფიქრობდა დარბაზი, ეს ვერ გავიგე.

კრება ქალაქის პარტიულმა ლიდერმა შესავალი სიტყვით გახსნა. მის შემდეგ ორი-სამი მაღალი თანამდებობის პირი გამოვიდა, სტანდარტული სიტყვები თქვეს, რაც, მგონი, არც არავის მოუსმენია. ეტყობოდა დარბაზს ეს! ამის შემდეგ კრების წამყვანმა გამოაცხადა, სიტყვა ეძლევა თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორს ლევან ჩიქვანაიასო და... დარბაზში ტაშმა იქუხა...

როგორც კი ტრიბუნასთან მივიდა ლევანი, დარბაზი გაისუსა, მხოლოდ თვალებად და ყურებად იქცა ამდენი ხალხი. უცბად სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. ეს არ იყო საბჭოურ პარტიულ აქტივზე გამომსვლელის სიტყვა. ეს სხვა იყო, რაღაც ახალი, მაგრამ სავსებით გასაგები და მოსაწონი.

ლევან ჩიქვანაიამ სიტყვა რომ დაამთავრა, დარბაზში ლამის ჭერი ჩამოიქცა ტაშით. აქტივის კრების პრეზიდიუმიც ფეხზე მდგომი უკრავდა ტაშს ამ ბრწყინვალე ორატორულ პუბლიცისტიკას.

ბევრი ათეული წლის შემდეგ ქართული განათლების სისტემაზე რომ ვფიქრობ, სრულიად აშკარაა ჩემთვის, რომ გასული საუკუნის 60-70-იანი წლები ერთობ განსაკუთრებული იყო. თითქმის ყველა ახალი საგანმანათლებლო წამოწყება თუ ექსპერიმენტი საქართველოდან იწყებოდა. ქართველ ნოვატორ პედაგოგთა საქმენი და სახელები მთელ ქვეყანაზე გახმაურდა. საიდან აღარ ჩამოდიოდნენ საქართველოში გამოცდილების გასაცნობად და იმ პედაგოგებთან შესახვედრად, რომლებიც ამ გამოცდილებას ქმნიდნენ. მათ შორის გამორჩეული იყო ლევან ჩიქვანაია, განსაკუთრებული ნიჭიერებითა და პიროვნული მომხიბვლელობით დაჯილდოებული კაცი.

ლევან ჩიქვანაიას ბიოგრაფიაში მისი დროის მთელი ავ-კარგი აისახა. მას იოლი ცხოვრება არ ჰქონია. დედა დაბადებიდანვე დაკარგა, მამა კი ავბედითმა დრომ დიდი ხნით დააშორა. თომა ჩიქვანაია ცნობილი მწიგნობარი კაცი იყო და 30-იანი წლების ქარტეხილებში უდანაკარგოდ გამოვლა ძნელი იყო მაშინ – იგი გადაასახლეს. ლევანმა მამა რომ ხელმეორედ ნახა, კარგად მოწიფული ვაჟკაცი იყო, მას ძირითადად ბებია ზრდიდა, მერე მამიდა და მამიდის ქმარი, განათლების ცნობილი მოღვაწე ბესარიონ კიზირია პატრონობდა...

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა, რასაც დიდი თავდადებით, სიყვარულითა და რუდუნებით მისდევდა სიცოცხლის ბოლომდე.

ერთხანს პედაგოგიურ გაზეთშიც მუშაობდა. წერა უყვარდა, კალამიც უჭრიდა და ნიჭითაც უხვად იყო დაჯილდოებული, სხვა რაღა სჭირდებოდა ჟურნალისტს, მაგრამ... მისი მოწოდება პედაგოგობა იყო და არა მარტო მოწოდება, ალბათ, ბედისწერაც...

დასაწყისში უკვე ვთქვი, 60-იანი წლები განსაკუთრებული პერიოდი იყო-მეთქი ქართული სკოლისთვის. სწორედ მაშინ დაიწყო ის რადიკალური ცვლილებები პედაგოგის თეორიასა და პრაქტიკაში, რამაც იმდროინდელი საბჭოთა, მათ შორის ქართული სკოლა მსოფლიოს მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა.

და, აი, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისში ექსპერიმენტული სკოლის გახსნის შესახებ. ქართველ მეცნიერ-ექსპერიმენტატორებს აუცილებლად სჭირდებოდათ ასეთი საბაზო სკოლა. ვინ იყო ის კაცი, რომელიც ამ დაწესებულებას ჩაუდგებოდა სათავეში? მეცნიერ-ფსიქოლოგებს, მეცნიერ-პედაგოგებს, განათლების ორგანიზაციისა და მართვის კონსერვატორ-სპეციალისტებსა და ბოლოს და ბოლოს, ახირებულ მშობელთა ჯგუფებს კომპეტენტური დირექტორის სტატუსით დაელაპარაკებოდა და მათი უსაზმანო პრეტენზიების წინაშე უკან არ დაიხევდა? პასუხი ყველა დონეზე ერთმნიშვნელოვანი იყო – ლევან ჩიქვანაია!

თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში გამობრწყინდა სრულად ლევან ჩიქვანაიას პედაგოგიური და ორგანიზატორული ტალანტი. საბედნიეროდ, იმდროინდელი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ (მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი) სრული დამოუკიდებლობა მისცა ახალგაზრდა დირექტორს და მანაც საოცარი სიზუსტით შეარჩია მასწავლებელთა კადრები. სკოლის დირექტორმა იმთავითვე განსაზღვრა, რომ ეს სკოლა უნდა ქცეულიყო ნოვატორული პედაგოგიური იდეების არამარტო ექსპერიმენტული შემოწმების ცენტრად, არამედ ამგვარი იდეების გენერატორადაც. ამიტომ საკმარისი არ გახლდათ კარგი მასწავლებლების შერჩევა, აუცილებელი იყო, აგრეთვე, მათ სიახლისადმი სწრაფვა და სტერეოტიპებიდან გამოსვლის სურვილიც ჰქონოდათ. მან ძირითადად აქცენტი ახლგაზრდა პედაგოგებზე გააკეთა. სწორედ ისინი გახდნენ იმ უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური ნოვატორობის თანამონაწილენი, რაც „თანამშრომლობის პედაგოგიკის“ სახელით გაიცნო მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ.

ამ სკოლაში იმთავითვე დაედო სათავე ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიას, რომელსაც ჯერ პროფესორი ბარნაბა ხაჭაპურიძე ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი, დღეს მსოფლიოში ცნობილი დიდი ქართველი პედაგოგი, ჰუმანური პედაგოგიკის მესაძირკვლე და თეორეტიკოსი შალვა ამონაშვილი. ლევან ჩიქვანაიამ ყველა პირობა შეუქმნა ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიას ეფექტიანი კვლევა-ძიებისათვის. მისი ოსტატური დირიჟორობით ჩაება მთელი პედაგოგიური გუნდი ახლებური სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკაში. სულ მალე გახმიანდა, რომ თბილისში, საირმის ქუჩაზე არის ისეთი სკოლა, სადაც ყველა ბავშვს უხარია წასვლა, სწავლა და პედაგოგებთან ურთიერთობა და მას პირველი ექსპერიმენტული სკოლა ჰქვია.

სულ მალე სკოლის ოფიციალური სახელწოდება დაავიწყდა ხალხს და ამ სკოლას „ჩიქვანაიას სკოლის“ სახელით მოიხსენიებდა ყველა. იმ დროს თბილისში მხოლოდ ორი სკოლა მოიხსენიებოდა მათი დირექტორების სახელით – „გიორგაძის სკოლა“ (88-ე) და „კობახიძის სკოლა“ (77-ე). ამათ მიემატა „ჩიქვანაიას სკოლა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ სკოლის დირექტორები მოსწავლეთა და მათი მშობლების უსაზღვრო ნდობას იმსახურებდნენ.

მეცნიერთა და პედაგოგთა საქმიანი თანამშრომლობის ის მოდელი, რომელიც ლევან ჩიქვანაიამ დაამკვიდრა სკოლაში, უაღრესად ეფექტიანი გამოდგა. მეცნიერ-მკვლევართა და ექსპერიმენტატორთა საქმიანობაში სრული ჰარმონია დამყარდა, ამიტომ მოსწავლეთათვის სრულიად ბუნებრივად მისაღები გახდა ახალი აღმზრდელობითი რეალობები, მეტიც, აღზრდის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი გასაოცრად ამაღლდა. ეს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, იმ მეცნიერული კონცეფციების ჭეშმარიტებასა და საიმედოობაზე მეტყველებს.

სულ მალე მთელმა ქვეყანამ შეიტყო თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლებისა და აღზრდის პიროვნულ-ჰუმანურ პრინციპზე დაფუძნებული თანამშრომლობის საოცარი შედეგები. რესპუბლიკურ და საკავშირო პედაგოგიურ და არაპედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში დაიწერა სტატიები, გამოიცა წიგნები. ქვეყნის ყველა კუთხიდან დაიძრნენ მასწავლებელთა დელეგაციები თბილისური სიახლეების გასაცნობად. დამკვიდრებული რუტინა საფუძვლიანად შეირყა, რამაც შეაშფოთა უძრაობას შეჩვეული მეცნიერ-პედაგოგთა და პრაქტიკოსთა ფართო წრეები. დაიწყო მწვავე შეტევები ექსპერიმენტულ სკოლაში მიმდინარე პროცესებზე: ცილისწამებები, ბეზღობა, ცრუბრალდებები უხვად მოედინებოდა ნოვატორი სკოლის მისამართით.

ლევან ჩიქვანაიას მიერ ჩამოყალიბებული სკოლის მონოლითურმა პედაგოგიურმა კოლექტივმა ერთი ნაბიჯითაც არ უღალატა იმ პედაგოგიურ მრწამსს, რაც ამ სკოლის ნოვატორებმა დაამკვიდრეს და გაიმარჯვეს! ამ სკოლაში მიმდინარე მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგები ყველა დონეზე იქნა აღიარებული და საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა.

წარმატებული სკოლის დირექტორი იმდროინდელმა ხელისუფლებამ დააფასა და დააწინაურა: ჯერ განათლების სამინისტროში გადაიყვანეს სკოლების სამართველოს უფროსად, შემდეგ კი ერთ-ერთი ურთულესი უბანი – თბილისის განათლების სამმართველო ჩააბარეს.

ბატონი ლევანის დიდი გამოცდილება მალე არსებითად დაეტყო კიდეც თბილისის სასკოლო სისტემას. კერძოდ, პრინციპულად შეიცვალა ხელმძღვანელ კადრებთან დამოკიდებულება: წინა პლანზე წამოვიდა მათი პროფესიული და ორგანიზატორული უნარები. ჩამოყალიბდა მასწავლებლის შრომის დაფასების ახლებური სისტემა, რაც, სამწუხაროდ, დღეს მივიწყებულია.

90-იანი წლების დასაწყისში ისე მოხდა, რომ ლევან ჩიქვანაია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს.

ძნელბედობის ჟამი ედგა მაშინ საქართველოს და, რა თქმა უნდა, პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტსაც. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ხელფასები ჯერ გაკუპონდა, მერე კი იმდენი ლარი გახდა, რომ სირცხვილით ვერ გაამხელდი სადმე. ამის მიუხედავად ინსტიტუტის დირექტორმა სასწაულებრივად მოახდინა სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნება და კვლევითი მუშაობაც კი არ შეუჩერებია. სწორედ ამ წლებში შეიქმნა ქართული პედაგოგიური აზრის ანთოლოგიის სამტომეული, პედაგოგიური ცნებატერმინთა ლექსიკონი, მაგრამ ნაცების ხელისუფლებას მეტი საქმე არ ჰქონდა, ეროვნული დანიშნულების წიგნების გამოცემაზე დაეხარჯა ფული!

ლევან ჩიქვანაია ბრწყინვალე პუბლიცისტი იყო. მისი წერილები და სტატიები ხშირად იბეჭდებოდა პედაგოგიური და არაპედაგოგიური პრესის ფურცლებზე.

ჩვენი განათლების სისტემის ვაი-რეფორმატორების გამო უსახსროდ დარჩენილი დიდი ისტორიის მქონე გაზეთი „სახალხო განათლება“ დაიხურა. ბატონმა ლევანმა დიდი ძალისხმევა მოანდომა ამ გაზეთის აღდგენას და სიკვდილამდე მისი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე იყო.

ლევან ჩიქვანაიას პუბლიცისტიკა საგანგებო განხილვას მოითხოვს. ბატონმა ლევანმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ის, რაზეც წერდა და სათანადო არგუმენტებიც რომ არ მოეხმო, მკითხველი იმდენად ენდობოდა მას, რომ ეჭვიც არ შეეპარებოდა მისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში.

ერთ მაგალითს გავიხსენებ მისი პრინციპულობის საილუსტრაციოდ: საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ბატონი ლევანის ნამოწაფარი იყო. მას არაერთხელ უხსენებია იგი განათლების მუშაკებთან შეხვედრისას – ჩემი ლეგენდარული დირექტორი ლევან ჩიქვანაიაო. ლეგენდარული დირექტორი კი სისტემატურად ბეჭდავდა პრეზიდენტის ეროვნულ-დამანგრეველი პოლიტიკის მამხილებელ წერილებს ქართულ პრესაში. მეგობრები ურჩევდნენ, ნუ აკეთებ ამას, გამოიყენე მისი შენდამი კეთილგანწყობა და იქნებ, რაიმე სასიკეთო გააკეთებინო პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვისო. არაო, – პასუხობდა, – მისი პოლიტიკის მიზანი ქართული განათლების სისტემის განადგურებაა და მე კოჭი როგორ უნდა გავუგოროო. აი, სწორედ ისე, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, ბილწთ არ შავეკვრი ზავითაო. ასეთი იყო ბოლომდე!

ბოლო წლებში მან გამოსცა ერთობ საინტერესო პუბლიცისტურ-პედაგოგიური წერილების კრებული „ნიჭის აპოლოგია“, სადაც ნათლად გამოჩნდა მისი, როგორც პედაგოგის, მოსწავლეებთან ურთიერთობის მთელი არსენალი. იგი ყველა აღსაზრდელში ეძებდა ნიჭიერებას და პოულობდა კიდეც. მერე კი ამ ნიჭიერებას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. დაუფარავად ამჟღავნებდა, როგორ უყვარდა ნიჭიერი ადამიანები. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მისი ფრიად გახმაურებული წიგნი „სტალინი ანფასში“. სწორედ ამ წიგნის სათაურმა მიკარნახა ამ წერილის სათაური, რაც 90 წლის, მარად ახალგაზრდა ლევან ჩიქვანაიას ნათელ ხსოვნას ეძღვნება.

**ზურაბ ცუცქირიძე**

ჩოგბურთი



# ბასილაშვილი სეზონს ამერიკელით იწყებს

**მსოფლიო რეიტინგის მე-20 ნომერი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობაზე მე-19 ნომრად არის განთესილი, სტარტზე კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულს, კლასიფიკაციის 171-ე ნომერს, ამერიკელ კრისტოფერ ეუბანკს დაუპირისპირდება.**

კრისტოფერი 22 წლისაა და მის პლუსად კარგი ჩაწოდება ითვლება. მას კარიერის მანძილზე ორი ჩელენჯერის ტურნირი აქვს მოგებული.

შესარჩევ ეტაპზე ეუბანკმა სამი მეტოქე დაამარცხა და მხოლოდ ერთი სეტი დათმო. ნიკა და კრისტოფერი კარიერაში პირველად ხვდებიან ერთმანეთს. მატჩის ზუსტი დრო ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის — იგი, სავარაუდოდ, 14 იანვარს გაიმართება.

**მანუჩარ გიორგაძე**

ტალანტი

# ეს „გოგა ბლოკაძეა“!

**მონტენეგროულმა „ბუდუჩნოსტმა“ ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც გოგა ბითაძის ბლოკშოტებია გაერთიანებული. პოდგორიცელებმა ქართველ ცენტრს ახალი მეტსახელიც შეურჩიეს — „გოგა ბლოკაძე“.**

შეგახსენებთ, რომ 19 წლის ქართველი კალათბურთელი „ბუდუჩნოსტში“ არცთუ დიდი ხნის წინათ გადაბარგდა და მას შემდეგ ახალი გუნდის მაისურით ჩატარებულ ექვს შეხვედრაში (ადრიატიკის ლიგასა და ევროლიგაში) საშუალოდ 2.5 დაფარება აქვს. გასაკვირი არაა, რომ სკაუტები მთელი მსოფლიოდან გოგას განსაკუთრებულად აკვირდებიან, მას კი თავის გამოჩენის მორიგი შანსი დღეს ექნება, როდესაც „ბუდუჩნოსტი“ ევროლიგის ეგიდით თურქულ „დარუშაფაკას“ უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ლეგიონერი



**ლევან ხარაბაძის ტრანსფერი „ციურიხში“, როგორც მოსალოდნელი იყო, ოფიციალურად დადასტურდა. ამის შესახებ შვეიცარიული გუნდისა და „დინამოს“ ვებ-გვერდები იტყობინებიან.**

# ხარაბაძე ციურიხელია

შეთანხმების თანახმად, ქართველი ფეხბურთელი „ციურიხში“ 1.5-წლიანი იჯარით ითამაშებს და შვეიცარიელებს ლეგიონერის სრულად გამოსყიდვის უფლებაც ექნებათ.

„ლევან ხარაბაძე სწრაფი და ტექნიკური მარცხენაფლანგელია. მას ყველაფერი აქვს, რაც თანამედროვე ფეხბურთისთვისაა საჭირო“, — განაცხადა „ციურიხის“ სპორტულმა დირექტორმა თომას ბიკელმა. შეგახსენებთ, რომ ხარაბაძემ ეროვნული ლიგის გასულ სეზონში 31 მატჩი ჩაატარა და 4 გოლის გატანა შეძლო.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი ჩვენი თამაშია!

# მსოფლიო თასი, განვლილი ტესტები და „მონპელიეს“ ამბები

**„ბორჯღალოსანი“ კოტე მიქაუტაძე, რომელმაც 2018 წლის სანაკრებო სეზონის სტარტზე ხელი მოიტეხა, დეკემბრის დასაწყისში მოედანს დაუბრუნდა და ნელ-ნელა საუკეთესო კონდიციებში შედის.**

ყველა „ბორჯღალოსნის“ სრული მზადყოფნა უმნიშვნელოვანესია, რადგან 2019 მსოფლიო თასის წელია. ერთ თვეში ჩვენს გუნდს რაგბი ევროპის ჩემპიონატი ელის, ზაფხულიდან კი ხანგრძლივი მოსამზადებელი ეტაპი იწყება, რომლის დამაგვირგვინებელი ფაზა სექტემბერ-ოქტომბერში იაპონიაში გვექნება.

ამ წლის მნიშვნელობა ძალიან კარგად ესმის 27 წლის მორაგბეს:

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი წელიწადი დადგა. ყველა მოთამაშე თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გაიღებს, რათა მომავალ ფორუმზე მინიმუმ ისეთი შედეგი ვაჩვენოთ, როგორიც 2015 წლის მსოფლიო თასზე გვქონდა.

**— იაპონიაში ავსტრალიას, უელსს, ფიჯის და ურუგვაის ვეთამაშებით. რომელ გუნდებთან გეგმავთ გამარჯვებას?**

— ალბათ, ურუგვაი და ფიჯი, რადგან მათთან უკვე გვაქვს რამდენჯერმე მოგებული.

**— ჩემპიონატს უელსთან მატჩით ვიწყებთ, რომელიც 2017 წლის შემოდგომაზე კარდიფში „გადაგვირჩა“. იაპონიაში მათი დამარცხების შანსი არ გვექნება?**

— მოდით, სიტუაცია რეალურად შევაფასოთ: უელსს 2017 წლის შეხვედრაში ჩვენს წინააღმდეგ არ ჰყავდა ის ვარსკვლავები, რომლითაც ინგლისთან, ახალ ზელანდიასთან, ირლანდიასთან თამაშობენ და უფრო სარეზერვო შემადგენლობა გამოიყვანეს; ეს იყო პირველი მატჩი ჩვენს შორის და მოულოდნელობის ეფექტიც ახლდა — არ ეგონათ, თუ ასეთ წინააღმდეგობას გავუწევდით; რა თქმა უნდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დღეს ჩვენც კარგად ვითამაშეთ. 2019 წლის მსოფლიო თასზე უელსი ბევრად უფრო მომზადებული და ძლიერი გუნდით დაგვხვდება. თუმცა, ვნახოთ, რა იქნება, ყველაფერი შესაძლებელია.

**— კალენდარს თუ გადავხედავთ, ასე ვთქვათ მოსაგებ ბრძოლებს, ურუგვაისა და ფიჯისთან ოთხდღიანი ინტერვალით ვმართავთ. გვეყოფა ძალა ორივე თამაშის უძლიერესი შემადგენლობით ჩასატარებლად? თუ, ვთქვათ, ურუგვაისთან ძალების დაზოგვას ვეცდებით?**

— სამთვიანი ინტენსიური მომზადების შემდეგ, წესით, მესამე თამაშისთვის, თუნდაც ის მეოთხე დღეს გქონდეს, ძალა აუცილებლად უნდა გეყოს. არა მგონია სწორი იყოს ურუგვაისთან ძალების დაზოგვაზე ფიქრი. ეს მსოფლიო თასია და ყველა მოწინააღმდეგე უნდა დავაფასოთ.

**— ზაფხულში ფიჯიმ დიდი სხვაობით გვძლია, განსაკუთრებით მეორე ტაიმში გვაჯობა. რის ხარჯზე უნდა მოვუგოთ მას იაპონიაში?**

— არაერთი მიზეზის გამო ზაფხულში პატარა ჩავარდნა გვქონდა. რა თქმა უნდა, იაპონიაში ფიჯისთან გამარჯვების არცთუ მცირე შანსი გვექნება და ეს ფიზიკური სიძლიერის, ასევე გამძლეობის ხარჯზე უნდა მოვახერხოთ.

**— მსოფლიო თასის ჯგუფურ ეტაპს ავსტრალიასთან ვასრულებთ, რომელთანაც აქამდე არასდროს გვითამაშია. შესაძლებელია მოხდეს სასწაული?**

— ყველა მსოფლიო თასზე მინიმუმ ერთი სენსაცია „ცხვება“ და რატომ არ შეიძლება ის ჩვენ გამოვჭედოთ? მით უმეტეს, რომ მათთან დასაკარგი არაფერი გვაქვს და თავისუფლად ვითამაშებთ.

**— სეზონს ერთ თვეში, ტრადიციულად, რაგბი ევროპის ჩემპიონატით ვიწყებთ. როგორ ფიქრობთ, ეს ტურნირი მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად, სქემების დასახვეწად უნდა გამოვიყენოთ თუ ახალგაზრდა მორაგბეებს უნდა ჰქონდეთ თავის გამოჩენის შანსი?**

— ჩემი აზრით, ამ ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობით თამაში საჭირო არ არის და სჯობს, ახალგაზრდებს გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა მიეცეთ. მსოფლიო თასის წინ 3-თვიანი მოსამზადებელი პერიოდი გვექნება, გავმართავთ სამ ამხანაგურ თამაშს და ვფიქრობ, ეს საკმარისი უნდა იყოს სქემების დასახვეწად და იაპონიაში საუკეთესო გუნდის ჩასაყვანად.



**— აგვისტოში თბილისში შოტლანდია ჩამოდის, პირველი ტიერ 1-ის გუნდებიდან! რას გვეტყვით მათი ვიზიტის შესახებ?**

— უპირველესად ვიტყვი, რომ მსოფლიო თასის წინ ასეთი მაღალი დონის მეტოქის წინააღმდეგ თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. ელიტური გუნდის საქართველოში ჩამოსვლა ნიშნავს იმას, რომ მათგან პატივისცემა დავიმსახურეთ და ეს ქართული რაგბისთვის უმნიშვნელოვანესია. ვიმედოვნებ, რომ მომავალში უმაღლესი რანგის გუნდებთან უფრო მეტი თამაში გვექნება, მათ შორის — საქართველოში.

**— ნოემბრის ტესტები ტრავმის გამო გამოტოვეთ. როგორ ჩაიარა რეაბილიტაციამ და ამჟამად როგორ კონდიციებში ხართ?**

— სექტემბრის დასაწყისში „ბორდოსთან“ მატჩში ხელი მოვიტეხე. რეაბილიტაციის პროცესმა კარგად, გართულებების გარეშე ჩაიარა და მოედანს იმაზე 2 კვირით ადრე დავუბრუნდი, რასაც ექიმები მიწინასწარმეტყველებდნენ. ახლა ნორმალურად ვარ, თუმცა, მაქსიმუმამდე ჯერ არ მივსულვარ. თავდაუზოგავი შრომით ნელ-ნელა წინ წავიწევ და, იმედია, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტისთვის საუკეთესოდ ვიქნები.

**— ძნელი იყო ნოემბრის ტესტების „გვერდიდან ყურება“?**

— რა თქმა უნდა. ძალიან ძნელია უყურო შენი მეგობრების თამაშს, როდესაც იცი, რომ მათ ვერაფრით დაეხმარები.

**— როგორ ფიქრობთ, იტალიასთან მატჩისას თქვენ და სხვა ტრავმირებული მორაგბეები მოედანზე რომ ყოფილიყავით, შედეგი სხვანაირი იქნებოდა?**

— ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იმ ბიჭებმა, ვინც მოედანზე იყვნენ, ბოლომდე იბრძოლეს და თავი არ დაზოგეს. ტრავმების გამო ზოგიერთ მათგანს პოზიციის შეცვლა მოუწია, რაც იოლი არაა. ამდენი ტრავმა რომ არ ყოფილიყო, ასე არ მოხდებოდა და ვფიქრობ, თამაშის ხასიათიც სხვაგვარი იქნებოდა.

**— მთლიანობაში ნოემბრის ტესტებს როგორ შეაფასებთ?**

— ძალიან კარგად. ორი თამაში მოვიგეთ და გუნდის ზრდა სახეზე იყო, რაც ამ შემთხვევაში უმთავრესია. ეს განსაკუთრებით სამოასთან მეორე ტაიმში გამოჩნდა, როდესაც ბიჭებმა ერთი შეხედვით წაგებული თამაში შემოატრიალეს.

**— „მონპელიე“ ბოლო წლებში საჩემპიონი ფლეი-ოფს რეგულარულად თამაშობდა, ამჟამად კი მე-9 ადგილზეა. რა არის ამის მიზეზი და როგორია თქვენი მიზანი?**

— სეზონის სტარტზე ძალიან ბევრი ტრავმირებული მოთამაშე გვყავდა და ის ცუდად დავიწყეთ. საფრანგეთის ჩემპიონატის რეგულარული პირველობის დასრულებამდე კიდევ 12 თამაში დარჩა და მიზანი, რა თქმა უნდა, ექვსეულში მოხვედრაა. გარდა ამისა, ევროთასებზე ორი შეხვედრა გვაქვს ჩასატარებელი და ორივეს მოგებას ვგეგმავთ, რათა ფლეი-ოფში გავიდეთ და მაქსიმალური შედეგი ვაჩვენოთ.

**— „მონპელიე“ ტოპ 14-ში ყველაზე ქართული გუნდია. როგორ მზადყოფნაში არიან მიხეილ ნარიაშვილი და ლევან ჩილაჩავა?**

— მიშა აგერ უკვე მერამდენე სეზონია მშვენივრად გამოიყურება და თავის პოზიციაზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. რაც შეეხება ლევანს, როგორც კი ფორმაში შედის, პატარ-პატარა ტრავმებს იღებს... ახლაც ცხვირი აქვს გატეხილი. ამ ტრავმების ბრალია, სტაბილურად რომ ვერ თამაშობს.

**— გელა აფრასიძე და უშანგი ჭეიშვილი პირველ გუნდში როდის დამკვიდრდებიან?**

— ჩვენთან ძალიან დიდი კონკურენციაა, თანაც უცხოელებზე შეზღუდვაა დაწესებული. თითო თამაშზე მინიმუმ 15 ფრანგი ან ესპუარების აღზრდილი მოთამაშე უნდა იყოს. ადრე არაუცხოელად ის მორაგბე ითვლებოდა, რომელიც ესპუარებში მინიმუმ 3 წელი ითამაშებდა, ახლა კი ეს ვადა 5 წლამდე გაიზარდა. უჩა მომავალი წლიდან უცხოელად აღარ ჩაითვლება, გელას კი საამისოდ კიდევ ერთი წელი სჭირდება და ორივეს მეტი თამაში მოუწევს. უჩამ ამ სეზონში ოთხ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და შაბათსაც განაცხადში იქნება. კლუბში ორივე მორაგბით კმაყოფილი არიან და, ვიმედოვნებ, პირველ გუნდში მალე დამკვიდრდებიან.

**კობა კობახიძე**

## გახსენება

# ვახტანგ თოდრია



ორმოცი დღე გავიდა გამოჩენილი მკვლევარის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის **ვახტანგ თოდრიას** გარდაცვალებიდან. ბატონი ვახტანგი მიეკუთვნებოდა საქართველოს გეოლოგთა და პალეონტოლოგთა იმ წრეს, რომელთა წევრები, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თავდაპირველად მსხვილმასშტაბიან გეოლოგიურ-აგეგმვით სამუშაოებში აქტიური მონაწილეობით მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და მხოლოდ შემდეგ შეუდგნენ მეცნიერულ მოღვაწეობას გეოლოგიის თუ პალეონტოლოგიის სხვადასხვა დარგში.

1968 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა, 1974 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 2005 წელს – სადოქტორო დისერტაცია. მისი სადოქტორო დისერტაცია წარმოადგენს შემაჯამებელი ხასიათის პალეონტოლოგიურ-სტრატიგრაფიულ ნაშრომს, რომელშიც კომპლექსურად არის განხილული საქართველოს ბათურ-ვალანჟინური სტრატიგრაფიის და პალეობიოგეოგრაფიის საკითხები მიკროფაუნის მიხედვით.

ვ.თოდრია იყო იურული მიკროპალეონტოლოგიისა და სტრატიგრაფიის აღიარებული სპეციალისტი. მისი კვლევის შედეგები მოხსენებულია არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებზე, კონფერენციებსა და კოლოკვიუმებზე (იუგოსლავია, შვეიცარია, იაპონია, რუსეთი, აზერბაიჯანი, ლიეტუვა და სხვ.). 1992 წლიდან ვ.თოდრია ირიცხებოდა იურული სტრატიგრაფიის საერთაშორისო კომისიის მიკრონამარხების სამუშაო ჯგუფის ნამდვილ წევრად.

ვ. თოდრია 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის თანაავტორობით შესრულებული 5 მონოგრაფიაა, რომელთაგან უნდა გამოვყოთ ფუნდამენტური გამოკვლევა – „საქართველოს იურული ნალექების სტრატიგრაფია“ (2006 წ.).

აღსანიშნავია, რომ ავტორიტეტულ ნაშრომში – „საბჭოთა კავშირის მიკროფაუნის პრაქტიკული სახელმძღვანელო “ (1991) ვ.თოდრიას მიანდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთი ზოლის (კარპატებიდან შუა აზიამდე) შუა-ზედაიურული ნალექების მიკროსტატიგრაფიული კვლევების შეჯამება.

ფასდაუდებელია მის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები: პირველად მოხერხდა კავკასიონის ნაოჭა სისტემის ნოვოროსიისკ-ტუაფსის და მესტია-თიანეთის ტექტონიკური ზონების შუაიურულ-ქვედაცარცული ლითოლოგიური წყებების მიკრობიოსტრატიგრაფიული დანაწილება; რაჭის აუზში განვითარებული ველიანთის და, შესაბამისად, მისი თანადროული ლაგუნურ-ეპიკონტინენტური წყებების შუაოქსფორდულ-შუატითონური ასაკის დადგენა; ბერიასულად მიჩნეული ზღვიური ტრანსგრესიის ადრეტითონურად დათარიღება რაჭის ეპიკონტინენტურ აუზში და მრავალი სხვ.

წლების განმავლობაში ბატონი ვახტანგი იყო საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების სწავლული მდივანი (1977-1993 წწ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი (1977-1978 წწ.) და ლ. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1989-2007 წწ). იგი ყველგან გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორგანიზატორული თვისებებით, მოწესრიგებულობით, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით, თავმდაბლობით და კეთილგანწყობით კოლეგების მიმართ.

ბ-ნი ვახტანგის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულში.

**საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი;**

**თსუ-ს ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი;**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნერებათა განყოფილება.**

---

**გაზეთის რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ ვახტანგ თოდრიას ოჯახსა და ჭირისუფლებს ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაპარული დასანანი შეცდომის გამო და გახსენების ტექსტს ვბეჭდავთ შესწორებული სახით.**

## ხსოვნა

**რძალი ნათელა ვასაძე, ძმისშვილები მარიკა, ირინე დანელიები, სიძეები ზურაბ შხვაცაბაია, გიორგი კარტოზია ოჯახებით იუწყებიან სანათესაოში სიკეთით გამორჩეული, ზნემაღალი მამულიშვილის**

# თემურ დანელიას

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და სანათესაოს. დაკრძალვა 13 I, 14 საათზე, დაბა შინდისში.**





# ვნებანი კორტს მიღმა

**ესპანეთის** პოლიციამ 28 პროფესიონალი ჩოგბურთელი დააკავა. ბრიტანული Independent.co.uk-ის ცნობით, საქმე ეხება გამოძიებას გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით. დაკავებულთა ვინაობა არ ხმაურდება, თუმცა, ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა 2018 წელს აშშ-ის ღია პირველობაზეც კი ითამაშა.

სამართალდამცველებმა რეიდი 11 სახლში ჩაატარეს და ჯამში 83 ადამიანი „აიყვანეს“. გარდა ამისა, ამოღებულ იქნა 151 ათასი ევრო, 50 ელექტრონული მოწყობილობა, 5 ძვირადღირებული ავტომობილი, საკრედიტო ბარათები და სხვადასხვა დოკუმენტები. პოლიციამ 41 საბანკო ანგარიშიც „გაყინა“.

გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც გარიგებული მატჩების გამოვლენისთვის მოღვაწე სპეციალურმა ორგანიზაციამ „ჩელენჯერებსა“ და „ფიუჩერსებზე“ უცნაური აქტივობები დააფიქსირა (ევროპოლის ინფორმაციით, საუბარია 97 „ჩაწყობილ“ თამაშზე).

სავარაუდოა, რომ ერთ-ერთ ჩოგბურთელს ბრალს დანარჩენ მოთამაშებსა და დანაშაულებრივი სამყაროს წევრებს შორის შუამავლობისთვისაც წაუყენებენ. საგულისხმოა, რომ გარიგებულ მატჩებს სომხური დაჯგუფების წევრები ესწრებოდნენ. მათ თვალი უნდა ედევნებინათ, რომ ჩოგბურთელებს წინასწარ შეთანხმებული შედეგები დაედოთ.

**ბეჟან დოლიძე**

# ტრაგედიის მიზეზი – გაზის გამათბობელი

**მარნეულში სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის ნამწვით 15 წლის გოგონა გარდაიცვალა. გოგონას ახლობლების განცხადებით, ის ოჯახის წევრებმა უგონო მდგომარეობაში, აბაზანიდან გამოსვლის შემდეგ იმ ოთახში იპოვეს, სადაც გამათბობელი იყო დამონტაჟებული.**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობით, გოგონა კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა, „ავერსის“ კლინიკის ემერჯენსის განყოფილების ხელმძღვანელის ხათუნა ებრალიძის თქმით, პაციენტი უკვე გარდაცვლილი იყო.

